ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ცხინვალის რეგიონში საპარლამენტო გადატრიალება მოხდა

გვ. 5

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 2011 №237 (5617) ფასი: 30 თეთრი

# რატომ მიდის ივანიშვილი პოლიტიკაში?



გვ.2

## ირაკლი ალასანია: „ოპოზიციური ექვსიანი დაიშალა“



გვ.4



გვ. 2

## ხეთაგურმა დეპუტატებს ბოდიში მოუხადა



გვ. 6

## სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი სარკოზის წინაშე მონანიებას აპირებს“



გვ. 4

## „ბორჯომს“ რუსეთში ხელისუფლება არ უშვებს



## რატომ ვერ ერთიანდება ოპოზიცია

გვ. 7

## დღეს რუსეთთან ომი მოსალოდნელი არ არის

გვ. 10



## ნათელაშვილი ივანიშვილს პოლიტიკოსად არ აღიქვამს

გვ. 3





გვ. 2

## პეტრე მამრაძე: „საქართველოში ბიძინა ივანიშვილს რა ემუქრება, ძნელი სათქმელია“



## სტუდენტებს 7 ნოემბრის აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებენ

გვ. 3

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ივანიშვილის ფაქტორის პერსპექტივები

5 ბიწაძის ადვოკატი გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს

6 უმრავლესობა ივანიშვილის პარტიის შექმნაზე განცხადების კომენტირებას 7 ოქტომბრამდე არ აპირებს

5 ჟენევის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა

# რატომ მიდის ივანიშვილი პოლიტიკაში?

თეა მარხვაიძე

**ხვალ საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ჩამოდის. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მთელი ყურადღება ამ მოვლენისადმი იყოს მიმართული. აქამდე ასეც იყო... მაგრამ საკმარისი იყო, ბიძინა ივანიშვილს გაეკეთებინა განცხადება, რომ სარკოზი ყველას მიავიწყდა. 7 ოქტომბერს ქართველი ბიზნესმენი სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს. ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ივანიშვილი პოლიტიკური პარტიის შექმნას და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.**

ივანიშვილი პოლიტიკაში რომ მოვიდოდა, ამას ყველა გრძნობდა. მასთან დაკავშირებით ადრეც არაერთხელ თქვეს, პოლიტიკაში მოდისო. მაგრამ მაშინ პროგნოზი არ გამართლდა.

როგორც ამბობენ, ივანიშვილს რამდენიმე პოლიტიკური პარტია "ეჩალიჩებოდა". მაგრამ მან არც ერთი არ გაიკარა. ამის გამო ბევრი ოპოზიციონერი შემოსწყრა. რამდენიმე პოლიტიკური პარტია მას სააკაშვილის მომხრედ მიიჩნევს.

გაიხსენეს ისიც, რომ თავის დროზე ის უხდიდა ხელფასს ქართველ ძალოვნებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულებს დამატებითი ანაზღაურება დაუნიშნეს. თავიდან თქვეს, რომ ამ თანხას რევოლუციის სპონსორი, ჯორჯ სოროსი იხდიდა. მერე გაირკვა, რომ ამ ფულს სოროსის ფონდში ივანიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი რიცხავდნენ.

ბადრი პატარკაციშვილი ყვავილოვან ხელისუფლებასთან საკმაოდ ახლოს იყო. თავიდან არც ხელისუფლება მტრობდა მას. ან რატომ უნდა დაპირისპირებოდნენ, როცა ბიზნესმენი მათ ყველა "ხუშტურს" აფინანსებდა.

მოგეხსენებათ, რომ ქვეყნად ყველაფერს აქვს საზღვარი. და ერთხელაც პატარკაციშვილს მოსწყინდა ეს ყველაფერი. მოსწყინდა და თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. ამის შემდეგ ის პოლიტიკაში აღმოჩნდა. და ჩვენმა ოპოზიციამ მის კარებთან დააყენა დიდი რიგი. ოპოზიციონერები არც მანამდე ამბობდნენ უარს პატარკაციშვილის ფინანსებზე. ამის შემდეგ კი სულ აიშვეს.

ხელისუფლებაზე გამწარებული პატარკაციშვილი გულუხვად აფინანსებდა ოპოზიციას და ალბათ ეგონა, რომ მას არ უღალატებდნენ. პატარკაციშვილის მოლოდინი არ გამართლდა. მას უღალატეს და თანაც ძალიან სერიოზულად.

ახლა, ალბათ, არავითარი აზრი არა აქვს იმის გახსენებას, ვინ და რატომ უღალატა პატარკაციშვილს. ამით ბიზნესმენი არ გაცოცხლდება და არც ოპოზიციონერები გამოსწორდებიან. ბევრი მათგანი შეიძლება ხვალ ბიძინა ივანიშვილს მიადგეს კარზე.

წესით და რიგით, ივანიშვილს საკმარისი გამოცდილება უნდა ჰქონდეს საიმისოდ, რომ პატარკაციშვილის შეცდომა არ გაიმეოროს. თუმცა აქ გადამწყვეტ როლს ალბათ ჩვენი ოპოზიციის მოხერხებულობა შეასრულებს. ოპოზიციაში ზოგიერთი ისეთი ადამიანია, რომ ეშმაკსაც კი შეაცდენს.

ივანიშვილის განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ერსა და პოლიტიკოსებში. კომენტარებს ყველა დაუზარებლად აკეთებდა. ოპოზიციონერები ფრთხილობდნენ. დიდი გამწარება არც ხელისუფლებას ეტყობოდა, რომელსაც ჯერ ივანიშვილისთვის არ სცალია, რადგანაც სარკოზი ჰყავთ გასასტუმრებელი. გაისტუმრებენ სარკოზის და მერე შეუბერავენ. თუმცა გააჩნია, რა განცხადებას გააკეთებს ივანიშვილი. ვნახოთ, კონსტრუქციულ ნიშას დაიკავებს თუ გარადიკალდება.

ხელისუფლება მას სერიოზულ თანხებს რომ "აწერს", ამაზე ჩვენში დიდი ხანია რაც საუბრობენ. არ არის გამორიცხული, სწორედ ეს იყოს მიზეზი პოლიტიკაში მისი წასვლისა.

რა უნდა ივანიშვილს პოლიტიკაში? გავლენა და ფული მას არ აკლია. ამიტომ ამისთვის პოლიტიკა არ სჭირდება, მით უმეტეს, პარლამენტში მოხვედრაზე არ უნდა ოცნებობდეს. ჩვენთან დეპუტატებს ხომ არავინ არაფერს არ ეკითხება. მას აშკარად სხვა მიზეზები აქვს და ალბათ ულირს კიდევაც, რაკი ასეთ სარისკო ნაბიჯს დგამს. დღეს პოლიტიკაში მოსვლა საკმაოდ სარისკოა, რადგანაც ხელისუფლება ნაციონალებს აქვთ ოკუპირებული, ოპოზიციური ფლანგი კი – რამდენიმე ლიდერს. ეს ლიდერები ოპოზიციურ ავანსცებაზე არავის არ აჭაჭანებენ. ივანიშვილს ისინი ალბათ ვარდებს დაუფენენ. თუ რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მათთან დგომას მოისურვებს,

ოპოზიციის ნაწილისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ღირებულების მატარებელი იქნება ესა თუ ის ადამიანი. მათთვის მთავარია ფული. ბიძინა ივანიშვილს კი ფული


ბიძინა ივანიშვილი

აქვს.

სწორედ ამიტომ მიეტმასნენ თავის დროზე ისინი ბადრი პატარკაციშვილს და ბევრი შეცდომა დააშვებინეს. პატარკაციშვილი პოლიტიკაში რომ არ ჩარეულიყო, ვინ იცის, ახლა შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო.

თავის დროზე იყო იმის ალბათობა, რომ პოლიტიკაში ივანიშვილიც ჩაეთრიათ. მაშინ ის კარგად გამოძვრა სიტუაციიდან. თუმცა ახლა პარტიის შექმნა გადაწყვიტა და ჩვენთან ერთად აპირებს ქართული ოცნების ახდენას.

რა არის ეს ქართული ოცნება, ამას 7 ოქტომბერს გავიგებთ. ისე, საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ეს დღე შეარჩია განცხადების გასაკეთებლად. 7 ოქტომბერი ხომ პუტინის დაბადების დღეა. რამდენიმე დაკვირვებულმა პოლიტიკოსმა ამ დამთხვევას დიდი ყურადღება მიაქცია.

პუტინი იქით იყოს და 7 ოქტომბერი მისთვის მომგებიანი არ უნდა ყოფილიყო. რადგანაც აქ სარკოზი ჩამოდის. ნაციონალური არხები ამ მოვლენას გააშუქებენ და შეეცდებიან, სხვამ არაფერმა დაჩრდილოს ეს თემა. თუმცა გააჩნია, რას იტყვის ივანიშვილი. გუშინ მან უკვე დაჩრდილა სარკოზი. მისმა განცხადებამ მიმკვდარებული პოლიტიკური სპექტრიც გამოაცოცხლა. ექვსიანი და მათი გაერთიანება უკვე აღარავის ახსოვს.

ასეთ შოკში საზოგადოება სექტემბრის დამლევს კიდევ ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ჩააგდო. 29 სექტემბერს რუსულმა მედიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, თითქოს ვასაძე საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას.

– ყველა კარგად ვხედავთ, თუ რა შედეგი მოგვიტანა შევარდნაძე-სოროსის მიერ ორგანიზებულმა "ვარდების რევოლუციამ", პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ რისი დანგრევაც ათეული წლების განმავლობაში შევარდნაძემ ვერ მოახერხა, მისმა დანატოვარმა მხედრიონელ-ნაციონალისტთა ხროვამ რამდენიმე წელიწადში შეძლო, იქამდე გაკადნიერდა ჩვენი ხელისუფალი, რომ ეკლესიების გაჩუქებაც კი დაიწყო ჩვენს ისტორიულ მტრებზე. მე აქამდე არ მქონდა გადაწყვეტილება მიღებული, მივიღებდი თუ არა მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში 2013 წელს, თუმცა, რომ ვუყურებ ჩემს დაკნინებულ ქვეყანას, სხვა გამოსავალი არ მრჩება, უნდა ჩავუდგე ჩემს მართმლადიდებელ ერს სათავეში და მოვაშორო ეს წურბელები აქაურობას. მე რომ ეს არ გავაკეთო, სოროსი, მიშათი დაწყებულ ანტიეროვნულ პოლიტიკას ალასანიას გააგრძელებინებს და მაგით საბოლოოდ დავკარგავთ საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებულ "მამულს, ენასა და სარწმუნოებას". არ არის გამორიცხული, რომ მე დამაგდონ როგორც ეს მარტინ ლუთერ კინგს გაუკეთეს, თუმცა, დღეს ნიუ იორკში ზანგი და თეთრი ერთი ავტობუსით რომ მგზავრობს, ეს მისი დამსახურებაა, ასე რომ, ოღონდ რამე გვეშველოს და ეშმაკსაც წაუღივარ, დღეს ჩვენ ყველანი ზანგები ვართ, – თქვა ლევან ვასაძემ.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მეორე დღესვე გავრცელდა მისი ვიდეოკომენტარიც, სადაც ვასაძე ამბობს, რომ ის არც პოლიტიკაში აპირებს მოსვლას და არც საპრეზიდენტო არჩევნებში სურს მონაწილეობის მიღება.

ვიდრე ვასაძე კომენტარს გააკეთებდა, ნაციონალებმა ძალიან გაინერვიულეს თავი. ახლა ამ მხრივ ისინი უკვე მშვიდად არიან. ვნახოთ, გახდება თუ არა ბიძინა ივანიშვილი მათი თავის ტკივილი.

# ხეთაგურმა დეპუტატებს ბოდიში მოუხადა

შალვა ჯოხაძე

მინისტრმა ხეთაგურმა პარლამენტში სულ ბოდიშები იხადა, შემდეგ გვაუწყა, რომ კახეთის ენერგოკომპანია გაკოტრდა, თუმცა, სხვა მხრივ, ქართული ენერკეტიკა ყვავის.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს გუშინ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს. მისი განცხადებით, სამინისტროს პრიორიტეტები, ინფრასტრუქტურის განვითარება, ჰიდროელექტოსადგურების მშენებლობა და ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვების გაუმჯობესებაა. ალექსანდრე ხეთაგურის ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად ათი ჰიდროელექტროსადგურის ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ჯამში მილიარდ ხუთასი მილიონი კილოვატ საათი ელექტროენერგიის გამომუშავებას შეძლებს. ელექტროსადგურები როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციებით შენდება. მინისტრის თქმით, მომავალ წელს თხუთმეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება. ხეთაგურის განცხადებით, საქართველოში ელექტროენერგიის საფასური ზუსტადაა გათვლილი, რომ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისთვის უცხოური კომპანიების მხრიდან დაინტერსება გამოიწვიოს. მისივე განმარტებით, ბოლო პერიოდში საქართველო სრული იმპორტიორი ქვეყნიდან სრულ ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცა, რაც ეკონომიკური ზრდის მყარი გარანტი იქნება.

მინისტრის ინფორმაციით, გამრიცხველიანების პროცესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა კახეთში შეფერხებულია.

"კომპანია, რომელიც კახეთის გამრიცხველიანებას უზრუნველყოფდა, გაკოტრდა, თუმცა მალე გაიყიდება და ახალი მფლობელები გააგრძელებენ კახეთში გამრიცხველიანების პროცესს", – აღნიშნა ხეთაგურმა.

მინისტრმა პრიორიტეტებს შორის ყურადღება მოსახლეობის გაზიფიცირებაზე გაამახვილა, მისი თქმით, დღეისათვის მოსახლეობის 43% უკვე გაზიფიცირებულია. მისივე ვარაუდით, 2013 წლისთვის ეს მაჩვენებელი 70%–მდე გაიზრდება. ხეთაგური მიიჩნევს, რომ რეგიონების გაზიფიცირება ახალი საწარმოების გახსნას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტში მისულ მინისტრს ბოდიშის მოხდა მოუწია. ხეთაგურმა ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო მოიბოდიშა.

რამდენიმე დღის წინ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომა სწორედ იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ მასზე მიწვეული ალექსანდრე ხეთაგური და გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე პარლამენტში არ გამოცხადდნენ.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე საბჭოს წევრი გურამ ჩახვაძე ხეთაგურის გამოუცხადებლობით დაინტერესდა.

როგორც ხეთაგურმა განმარტა, საბჭოს სხდომის დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტთან დაკავშირებით მას ერთდღიანი ვიზიტით თურქეთში მოუწია გამგზავრება.

მინისტრმა ახალი პროექტის დეტალების გახმაურებისგან დღეს თავი შეიკავა და დეპუტატებს დაჰპირდა, რომ "შედეგის შემთხვევაში მათ აუცილებლად აცნობებს".


ალექსანდრე ხეთაგური

# პეტრე მამრაძე: „საქართველოში ბიძინა ივანიშვილს რა ემუქრება, ძნელი სათქმელია"

პარლამენტის ფრაქცია ,,ერთობა სამართლიანობისათვის" წევრის, დეპუტატ პეტრე მამრაძის შეფასებით, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პარტიის პოლიტიკურ შანსებზე საუბარი რთულია.

ამის შესახებ პარლამენტარმა ,,მედიანიუსთან" საუბრისას განაცხადა.

,"ბიძინა ივანიშვილის პარტიის პოლიტიკურ შანსებზე საუბარი რთულია, რადგან ახლა საქართველოში ავტორიტარული პლუტოკრატიაა გამეფებული; ეს ნიშნავს იმას, რომ კანონზე მაღლა პიროვნებების ინტერესები დგას. ამიტომ ამ პირობებში, ასეთ დიდ პიროვნებას რა ემუქრება და რას, როგორ შეძლებს ძნელი სათქმელია" – აღნიშნა მამრაძემ და დასძინა, რომ მან ბიძინა ივანიშვილი პირადად, ძალიან დიდი ხნის წინ გაიცნო.


პეტრე მამრაძე

,,მინდა გითხრათ, რომ ის არის საქართველოს ნამდვილი პატრიოტი. მან საქართველოს დიდძალი ფული შესწირა. ის დაეხმარა მეცნიერებს, ხელოვანებს, მონაწილეობა მიიღო არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციაში. აქ საუბარია ასობით მილიონზე. ვიცი რა, მისი პრინციპები და ფასეულობები, შემიძლია მხოლოდ წარმატება ვუსურვო მას"- განაცხადა მამარაძემ.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია ითანამშრომლებს თუ არა ივანიშვილი ოპოზიციასთან.

,,ეს ყველაფერი ალბათ მას შემდეგ გაირკვევა, რაც 7 ოქტომბერს მისი განცხადება საზოგადოებისათვის გახდება ცნობილი. მე მასთან პირადი, ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ჩემგან მას რაც არ უნდა დასჭირდეს, ყოველთვის გვერდში დავუდგები"- აღნიშნა მამრაძემ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ივანიშვილის ფაქტორის პერსპექტივები

გიორგი უძილაური

"მე გადავწყვიტე, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში", – ეს სიტყვები საქართველოში თითქმის ყველასთვის ცნობილ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

საქართველო საფრანგეთი ან აშშ რომ ყოფილიყო, არავის არ გაუკვირდებოდა რომელიმე მილიარდერის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ერთადერთი ხელისუფლებისგან ვერკონტროლირებადი მილიარდერის პოლიტიკური განცხადება რამდენიმე საათში საზოგადოების მთავარ თემად იქცა. საინფორმაციო სააგენტოები ფაციფუცით ეძებდნენ ხელისუფლებასა და ოპოზიციაში მყოფ ფიგურებს კომენტარებისთვის, სოციალურ ქსელებსა და ფორუმებზე ივანიშვილის თემა ფარავდა ყველა სხვა თემას, მხოლოდ „იმედი" და „რუსთავი 2" ინარჩუნებდნენ ბრეჟნევისდროინდელ სიხისტეს და არ ამჩნევდნენ თემას, რომელიც როგორც არ უნდა მალო, მაინც უმთავრესია საზოგადოებისთვის.

რატომ? იმიტომ, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა თავდაყირა აყენებს დღემდე არსებულ ხრწნად პოლიტიკურ მოცემულობას. ჯერ კიდევ გუშინ, არათუ საზოგადოება, თავად ოპოზიციური პარტიები იყვნენ ღრმა დეპრესიაში. მიდიოდა ჭინთვა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, პარტიებს შორის ურთიერთობების, დაბლოკების ან დაპირისპირების გარშემო, თუმცა ეს რეალურად არავის აინტერესებდა. ე.წ. „კონსტრუქციული ოპოზიცია" მეტნაკლებად აქტიურობდა, რათა ამომრჩევლებს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არ გასჩენოდათ კითხვა თუ საიდან მიიღეს საპარლამენტო ოპოზიციონრებმა ამხელა რაოდენობის ხმები. „ვარდების რევოლუციით" ხელისუფლებაში მოსული ჩინოსნები „ვარდების მილიარდერებად" ყალიბდებოდნენ და პრეზიდენტისთვის „აღმშენებლობის" ანტურაჟს ქმნიდნენ, ოფიციალური ხელისუფლება გუბეში მოცქირალი ნარცისივით ტკბებოდა საკუთარი თავით, პრეზიდენტი რეგიონებში „აღმშენებლობაზე" საუბრობდა, პრეზიდენტის ჯიბის ტელევიზიები ხალხს სარკო! სარკო!-ს საყვირლად რუსთაველზე ეპატიჟებოდნენ ... და უცებ მეხი გავარდა, ერთადერთმა არაკონტროლირებადმა მილიარდერმა ხმა ამოიღო.

რას ველოდოთ? პირველ რიგში 7 ოქტომბერს, როცა ივანიშვილი უფრო დააკონკრეტებს თავის გეგმებს. როგორიც არ უნდა იყოს ეს გეგმები, ნაციონალურ მოძრაობას მოუწევს ყაზარმულ რეჟიმზე გადასვლა და მომავალი პარლამენტის პარტიული დაკომპლექტების იმ პროექტის გადახედვა, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ ზაფხულში დაასრულა მეგობარ ოპოზიციონერებთან ერთად. ხელისუფლების მეგობარ ოპოზიციონერებს ყველაზე მეტი სანერვიულო აქვთ. თუ ივანიშვილის პარტია ამოქმედდა, მაშინ ხელისუფლებს ამ პარტიებისთვის დასათმობი 20-30 ადგილი აღარ ექნება და შესაბამისად მათაც მოუწევთ ჩამოყალიბება – რა გზა აირჩიონ ასე გატეხილი სახელებით.

თუ 7 ოქტომბერს გაირკვევა, რომ ივანიშვილი გათვლილი გეგმით აპირებს არა მარტო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების აღებასაც, მაშინ უნდა ველოდოთ სრულ ისტერიკას როგორც სააკაშვილის გარემოცვიდან, ასევე ანგაჟირებული ოპოზიციისგან. უკვე ნათელია რა სახე ექნება ივანიშვილის საწინააღმდეგო „შავ პიარს". შსს ხალხში გაავრცელებს ჭორს, რომ „ივანიშვილი სააკაშვილის თამაშს თამაშობს", ნაციონალური მოძრაობის სპიკერები გაიხსენებენ, რომ „ივანიშვილს ფული რუსეთში აქვს ნაშოვნი", რომ „ივანიშვილი პუტინის პროექტია" და რომ „სანამ ხალხი შიმშილობს, ივანიშვილი ათობით მილიონებს სურათების ყიდვაში ხარჯავს". მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ადამიანის სტაბილურ პოზიტიურ იმიჯს საზოგადოებაში, ახლო ურთიერთობებს საქართველოს პატრიარქთან, თუ დავუმატებთ ამას საზოგადოებაში არსებულ გაჭირვებას, კვლავ შემორჩენილ ბელადომანიას და სეირის სურვილს, მაშინ დღესვე შეიძლება ითქვას, რომ „შავი პიარი" არათუ დააზარალებს, არამედ დივიდენდებს მოუტანს ივანიშვილს. თუმცა, ეს არ იქნება საკმარისი მისი წარმატებისთვის. თუ ივანიშვილი დაიწყებს პარტიის დაკომპლექტებას მსახიობებით, მომღერლებითა და გამხმარი ოპოზიციონერებით, თუ მისი პარტიის სახელით დაიწყებენ საუბარს საზოგადოებისთვის უკვე ნაცნობი სახეები, მაშინ სწორედ პარტია გახდება ის სუსტი წერტილი, რომელზეც მიიტანს იერიშს ხელისუფლება. მაგრამ თუ ივანიშვილი საერთოდ არ გამოაჩენს ასეთ გაცვეთილ ფიგურებს და კონსპირაციული სტილით ნაწილნაწილ გაავრცელებს ამა თუ იმ ინფორმაციას, მაშინ მას შეუძლია იფიქროს წარმატებაზე.

მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილს არ წარმოუდგენია მისი მომავალი პოლიტიკური ძალის პროგრამა, პლატფორმა და ხედვები, იმაზე ფიქრს თუ რა საფრთხე ან სარგებელი შეიძლება მოჰყვეს მის მოსვლას ხელისუფლებაში, აზრი არა აქვს. როგორც მინიმუმ, ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში ნიშნავს ხელისუფლების მიერ დალაგებული კარტების აშლას და შესაბამისად სიტუაციის გამოცოცხლებას, რაც ამგვარ კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისთვის ცუდი არაა. ხოლო თუ ეს გამოცოცხლება შედეგად მოიტანს არსებული ვითარების შეცვლას, ეს უკვე პოზიტივია.

# ნათელაშვილი ივანიშვილს პოლიტიკოსად არ აღიქვამს

## ვისთან ითანამშრომლებს ბიზნესმენი?

შალვა ჯოხაძე

იმ დროს, როდესაც ბიძინა ივანიშვილის მიერ პარტიის ჩამოყალიბებასა და არჩევნებში მონაწილეობას ქართული პოლიტიკური სპექტრის ნაწილი საერთოდ არ აფასებს, ნაწილიც მიესალმება ან გმობს, ლეიბორისტები ივანიშვილს პოლიტიკურ ფიგურად არ აღიქვამენ. მათი ასეთი პოზიცია მოსალოდნელიც იყო, რადგან ნათელაშვილის პარტიას ივანიშვილთან ძველი ანგარიშები აქვს.


შალვა ნათელაშვილი

სანამ ამ დაპირისპირების შესახებ შეგახსენებდეთ, ივანიშვილის "ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადების ამონარიდს გთავაზობთ: "არაერთხელ განგვიცხადებია იმის შესახებ, რომ ბატონ ბიძინას არ გააჩნია არანაირი პოლიტიკური ინტერესები და სიმპათიები არც სახელისუფლებო და არც სხვა რომელიმე პარტიისა თუ პოლიტიკური მიმდინარეობის მიმართ.

ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ ბატონ ბიძინას არასოდეს დაუფინანსებია სააკაშვილის მთავრობა, მით უმეტეს, მისი არც ერთი წინასაარჩევნო პიარაქცია. ასევე კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ იგი არც მომავალში აპირებს ხელისუფლების დაფინანსებას".

საინტერესოა, ასეთი კატეგორიული განაცხადის შემდეგ, რამ შეუცვალა აზრი ივანიშვილს? ამ ამონარიდში ყურადღება განსაკუთრებულად იმაზეა გამახვილებული, რომ ივანიშვილი სააკაშვილს ფულით არ ამარაგებს. ივანიშვილის პრესსამსახურს ასეთი პოზიციის დაფიქსირება პერიოდულად უწევს ხოლმე, რადგანაც ქართულ მედიაში ცნობილი ბიზნესმენის მიმართ მსგავსი ბრალდებები ხშირად ისმის.

ივანიშვილის გაპოლიტიკოსებასთან დაკავშირებით, გუშინ უამრავი კომენტარი გაკეთდა. ლეიბორისტების სახელით, კახა ძაგანიამ უთხრა ჟურნალისტებს, რომ ამჟამად ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენია, პოლიტიკოსი არ არის და ამდენად, ბიზნესმენის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებზე პოზიციის დაფიქსირება არ სურთ.

თუმცა, ცოტა ხნის წინ, შალვა ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილი იმდენად გაამწარა, რომ უზარმაზარი განცხადების გავრცელება აიძულა. ლეიბორისტებმა ივანიშვილი სააკაშვილის მილიონობით დოლარით დაფინანსებაში დაადანაშაულა. და საერთოდაც, ნათელაშვილი ამტკიცებდა, რომ ივანიშვილის დამსახურებაა, სააკაშვილის ხელისუფლება რომ არ "ჩამოიშალა".

"არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას ერთი თეთრითაც არასოდეს არ დახმარებია", – აღნიშნეს ამ საკითხთან დაკავშირებით ივანიშვილის ორგანიზაციის პრესსამსახურში და შალვა ნათელაშვილის საქციელის რეალური მიზეზის გაშიფვრისას ცნობილი ბიზნესმენის პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებიც გაშიფრეს.

"თუკი თვალს გადავავლებთ პოლიტიკურ ძალთა-Aახლანდელ განაწილებას, არსებობს სახელისუფლებო პარტია, ოპოზიცია და ეგრეთ წოდებული ფსევდოოპოზიცია, არსებობს ასევე სტაბილური დაბალანსებული ურთიერთობები მათ შორის და ეს ვითარება სამთავრობო გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის სავარაუდო წინაპირობაა. ახლანდელი ხელისუფლება ასეთ სიტუაციაში ძალზე კომფორტულად გრძნობს თავს და საქმე მშვენივრად აქვს აწყობილი: სიტუაციას აბალანსებს, ბიზნესს აკონტროლებს; თავისი მანიპულაციებით მიაღწია იმას, რომ ფსევდოოპოზიციას – საპარლამენტოსაც და არასაპარლამენტოსაც შესანიშნავად მართავს... ნამდვილ ოპოზიციურ მოძრაობას საკმაოდ უჭირს სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ასე რომ, მოახლოებული არჩევნების წინ სააკაშვილის პოზიციები საკმაოდ მყარია...

ბატონ ბიძინას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი აპოლიტიკური ადამიანია, მას არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ გააჩნია და ეს რომ ასეა, საქართველოში მისი ცხოვრების დაახლოებით ათწლიანი პერიოდიც ადასტურებს. მაგრამ ხომ არსებობს იმის ალბათობა, რომ თუ თვითონ პირადად არ მოიწადინებს პოლიტიკურ პროცესში ჩართვას, ფინანსური ან სიტყვიერი დახმარება აღმოუჩინოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან მთლიანად ოპოზიციას? ხომ შესაძლებელია, რომ ნათელაშვილის მიერ ნახსენები 150 მილიონი ივანიშვილმა სწორედ აქეთ მიმართოს? რასაკვირველია, მისი ეს ნაბიჯი აუცილებლად გამოიწვევდა ზემოხსენებული ბალანსის მკვეთრად დარღვევას.

სწორედ ახლანდელ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს არსებული ბალანსის დარღვევა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილმა ვინმე არ დააფინანსოს და რომელიმე პოლიტიკურ ძალას მხარში არ ამოუდგეს იგი. სწორედ ამიტომაც, თუკი ნათელაშვილის ადრინდელ განცხადებებს ბეჭდური მედია და მეორეხარისხოვანის ტელეარხები აშუქებდნენ ხოლმე; ამჯერად მისი ბრიფინგის შესახებ სიუჟეტი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა ყველა არხმა – "რუსთავი 2"-მა, "იმედმა" და "საზგადოებრივმა მაუწყებელმა" დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადასცა.

სწორედ სააკაშვილის მთავრობა ცდილობს დაიხმაროს ქართველი ხალხი და ასევე დაარწმუნოს რუსეთის მთავრობაც, რათა მოიშოროს ივანიშვილი და მისგან თეორიულად მოსალოდნელი შესაძლო ხიფათი თავიდან აიცილოს.

ნათელაშვილი სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების პოზიციას ახმოვანებს, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და მისსავე ინტერესებს ემსახურება", - აღნიშნეს "ქართუ ჯგუფში".

ამ განცხადებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ივანიშვილს არც არსებული ხელისუფლება მოსდის თვალში და არც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. სავარაუდოდ, მსგავსი პოზიცია იქნება ჩამოყალიბებული "ქართუ ჯგუფის" მიერ 7 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაშიც, რომლის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია ამ დროისათვის ცნობილი. ეს ფრაგმენტი ლამის ყველამ დავიზეპირეთ: „მე გადავწყვიტე, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში". 7 ოქტომბერს ინავიშვილის მოსაზრებებს დეტალურად შევიტყობთ, თუმცა, ამჯერადაც, მხოლოდ წერილობითი ფორმით, ის საზოგადოების წინაშე კვლავ ცოცხალი თავით არ ჩნდება.

ივანიშვილის პოლიტიკაში გადაბარგებასთან დაკავშირებით ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის კომენტარებს რაც შეეხება,

"ქრისტიან-დემოკრატებს" არაფრის თქმა არ სურთ. დეპუტატმა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ ცნობილი უნდა გახდეს, რა იდეოლოგიის პარტია იქმნება და ამის შემედეგ იქნება შესაძლებელი კომენტარიც და პროგნოზებიც. თუმცა, მისი განცხადებით, პოლიტიკაში ახალი მოთამაშის შემოსვლა არსებულ პოლიტიკურ რეალობაზე გავლენას ახდენს.

"ქართული პარტიის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი კი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას მიესალმება.

"მისი მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა გულწრფელად გამიხარდა, რადგან ბიძინა ივანიშვილს იმდენად დიდი ნდობა და ავტორიტეტი აქვს საზოგადოებაში, რომ დარწმუნებული ვარ, პოლიტიკაში მისი ჩართვა აუცილებლად შეცვლის ძალთა ბალანსს ქვეყანაში, ეს ცვლილება კი სააკაშვილის სასარგებლოდ არ იქნება", - აცხადებს სოზარ სუბარი.

მმართველი პარტიის წარმომადგენლის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, 7 ოქტომბრის შემდეგ გამოჩნდება, რამდენად იქონია რუსეთში დაგროვილმა კაპიტალმა გავლენა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გემოვნებაზე. ჯერჯერობით კი, წიკლაურის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილზე მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ კარგი ბიზნესმენია, რომელმაც კაპიტალი რუსეთში დააგროვა.

"რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილისთვის ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა.

"ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობა პოლიტიკაში დაახლოებით ისეთი იქნება, როგორც სხვა ქართველი ბიზინესმენების პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი. ეს სპეციფიკური საქმეა. ამიტომ, ხმების გარკვეული რაოდენობა ყოველთვის არსებობს, რომელსაც ახალი პოლიტიკური ფიგურა მიიღებს, თუმცა, არა იმდენი, რომ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი შეეცვალოს, ამის შესაძლებლობა ბიზნესმენებს არ აქვთ", - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

პოლიტოლოგების მოსაზრებებს რაც შეეხება, გია ხუხაშვილი ბიძინა ივანიშვილის ამ ნაბიჯში ქართული პოლიტიკური ჭაობის გამოცოცხლებას ხედავს.

„არ ვიცი, ვინ იქნება მის პარტიაში, მაგრამ ივანიშვილის კართან რიგი დადგება. მას კარს აუტალახებს პრაქტიკულად ყველა – აქტიური ინტელიგენცია, არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკოსები. ჩემთვის გაუგებარია, რა უნდა მოუხერხოს იმ ხალხს, ვინც მის კართან მივა. საქართველოში, როგორც წესი, ვინც უარს მიიღებს, მეორე დღიდან უკვე მტერია. ამდენად, ივანიშვილს ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა, ამ ხალხთან და ხელისუფლებასთან. თუმცა, ყველა შემთხვევაში, წარმატებას ვუსურვებ, რადგან მართლაც სერიოზული ფაქტორი ჩნდება ქართულ სინამდვილეში", – განაცხადა ხუხაშვილმა.

რამაზ საყვარელიძისთვის ბიძინა ივანიშვილის განცხადება სრული მოულოდნელობა იყო, თუმცა პოლიტოლოგი აცხადებს: "ადრე ჩავატარეთ გამოკვლევა, რომელიც არ გაგვიხმაურებია, სადაც საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის შევიტანეთ ბიზნესმენები, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი. მაშინ ყველაზე მაღალი რეიტინგი ივანიშვილს და პატარკაციშვილს ჰქონდათ".

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილის ვაჟი, ბერა შემოიჭრა ქართულ რეალობაში. მისი პიროვნებით ბევრი მოიხიბლა, რაზეც ინტერნეტმომხმარებლების "ფეისბუქის" მის გვერდზე აქტიურობაც მოწმობს. ამ გვერდზე უკვე გამოჩნდა ბერას პოზიციაც მამის პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით: "დროა, ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!!!". საინტერესოა, რომელი ოცნების ასრულების პირობას მოგვცემს მამამისი?!

# სტუდენტებს 7 ნოემბრის აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებენ

ლეიბორისტული არტია განათლების სისტემას აკრიტიკებს და სტუდენტებს 7 ნოემბრის აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდებს.

როგორც გუშინკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განცხადა, წლების მანძილზე სააკაშვილის მიერ განხორციელებულმა განათლების დამანგრეველმა რეფორმებმა უმაღლესი განათლების მიღება მდიდართა პრივილეგიად გადააქცია.

მისი თქმით, ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა მშობლებსაც მათი სწავლის დაფინანსების შესაძლობლობა არ აქვთ, მონობისთვის არიან განწირულნი.


კახა ძაგანია

ძაგანიამ პრეს-კონფერენციაზე უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ სიტუაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებში კომკავშირული კომიტეტის მაგვარი კარგად დაფინანსებული ზონდერ ჯგუფები ჩამოყალიბდა. ე.წ თვითმმართველობების სახით.

„ს კომკავშირული ბრიგადები ფიზიკურად უსწორდებიან სტუდენტებს, რომლებიც სახელისუფლებო დიქტატს არ ექვემდებარებიან. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღება უფასო გახდეს და წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდია დაენიშნოთ. ასევე მოვითხოვთ, სტუდენტური ზონდერ ბრიგადების დაშლა – დეკომკავშირიზაციას! სტუდენტებო, მოგმართავთ, 7 ნოემბერს პარლამენტის წინ დანიშნულ მიტინგზე მოდით და ხმა ამოიღეთ ქვეყანაში არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ერთად გადავრჩინოთ ქვეყანა", - განცხადა კახაბერ ძაგანიამ.

შეაგხსნებთ, რომ 7 ნოემბერს ლეიბორისტული პარტიის ორგანიზებით პარალმენტის წინ საპროტესტო აქცია იმართება.

მედიანიუსი

# ირაკლი ალასანია: „ოპოზიციური ექვსიანი დაიშალა“

ქეთი ხომერიკი

**რატომ დაიშალა ექვსიანი, ვის ადანაშაულებს ირაკლი ალასანია ექვსიანის მარტივ მამრავლებად დაშლაში, რატომ თქვეს ხალხთან ურთიერთობაზე უარი ა.წ. გარდაცვლილი ექვსიანის ლიდერებმა და რას აპირებს დაშლილი ექვსიანის ლიდერი ალასანია? „ახალი თაობა“ „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების ლიდერს ირაკლი ალასანიას ექსკლუზიურად ესაუბრა.**

**ირაკლი ალასანია:**

მოდით, რეალურად შევხედოთ არსებულ ვითარებას, მე ერთი რამ ნამდვილად ვიცი – საზოგადოებას უნდა ცვლილებების განხორციელება ქვეყანაში და სჭირდება ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც სააკაშვილის დაამარცხებს. აქედან გამომდინარე მე დავიწყე ეს ბრძოლა. მერამდენე თვეა რეგიონებში დავდივარ, მოქალაქეებს ვუხსნი, რომ ალტერნატივა ამ ხელისუფლების მხოლოდ და მხოლოდ ისეთი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს, რომელსაც აქვს საკუთარი შეხედულება და კონკრეტული მოსაზრება, როგორ უნდა შეიცვალოს სოფლის მეურნეობა, შეიქმნას სამუშაო ადგილები და სხვა. აქედან გამომდინარე, მე ვერ დაველოდები ნებისმიერი სხვა პოლიტიკურ ძალას, რომელიც ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ აქვს, მოქმედების რა ფორმა უნდა აირჩიოს პოლიტიკაში, მე ვერ დაველოდები ვერავის გადაწყვეტილებას. იმიტომ, რომ ერთ წელიწადში არჩევნებია, არჩევნები, რომელსაც ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა ხალხისთვის და ქვეყნისთვის. ჩემი მთავარი ამოცანა არის, მობილიზება გავუკეთო მილიონ ამომრჩეველზე მეტს და საარჩევნო დღეს ეს ხალხი მივიყვანო არჩევნებზე ხმის მისაცემად, რათა ქვეყანაში დაიწყოს ცვლილება და პირველი ცვლილება უნდა დაიწყოს პარლამენტის არჩევით, რომელიც არ იქნება ერთპარტიული. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, პარტნიორად ვხედავ ყველა იმ პარტიას, რომელსაც აქვს ასეთი ბრძოლის უნარი, მაგრამ ეს უნდა გამოაჩინოს საქმემ და კონკრეტულმა ნაბიჯებმა. პოლიტიკა აღარ კეთდება ჩვენს ქვეყანაში, ეს პოლიტიკა კეთდება თითოეულ მოქალაქესთან ურთიერთობით და მათი დარწმუნებით, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ქვეყანაა, ეს არ არის მათი უნიათობის ბრალი, ეს არის მხოლოდ სააკაშვილის ბრალი. და მე მინდა, საკუთარი თავის რწმენა გავუჩინო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. აი, ამით ვართ ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები დაკავებული და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი, თუკი ამ ბრძოლაში შემოვა, რა თქმა უნდა, მე მათ ჩავთვლი პარტნიორებად. მაგრამ მათი გადაწყვეტილების მოლოდინში და გადაწყვეტილებების ტყვეობაში ჩვენ ველარ ვიქნებით.

***– ექვსიანის ლიდერების გადაწყვეტილების მოლოდინში ვერ იქნებით, რას გულისხმობთ, კი მაგრამ, რა ხდება ექვსიანში, იშლება, რაში ვერ შეთანხმდით ბოლო მომენტში? აკაკი ასათიანის თქმით, ექვსიანი უმოქმედო გახდა...***



ირაკლი ალასანია

– მე შევთავაზე ჩემს პარტნიორებს, ჩემთან ერთად დაეწყოთ რეგიონებში სიარული, მოქალაქეებთან შეხვედრები და ისინი გარკვეული გადაწყვეტილებების მოლოდინში არ გახდნენ ამ ბრძოლის და ამ მოქმედებების თანამონაწილენი.

***– ფორუმსაც შესთავაზეთ ? კი მაგრამ, აკაკი ასათიანი წუხდა, რომ ექვსიანი უმოქმედო გახდა...***

– ყველას, ყველას აბსოლუტურად. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ექვსიანში შემავალ პარტიებს პატივს ვცემ, მაგრამ სიტყვები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეალურად ხალხს დავანახოთ, რომ ექვსიანი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა. მათ უნდა გადაწყვეტილება მიიღონ უნდათ თუ არა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, თუ უნდათ მაშინ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას და გახდებიან ამ ბრძოლის თანამონაწილეები.

***–თქვენ დაინახეთ, რომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ უნდათ, რას ამბობებ?***

– ჩვენ როდესაც რამდენჯერმე შევთავაზეთ არაერთ სხვადასხვა აქციაში მონაწილეობის მიღება, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება რეგიონებში და მოქალაქეების მობილიზება, მათ თავი შეიკავეს.

***– რატომ, რა მიზეზით?***

– ეს არის მათი გადაწყვეტილება, კიდევ ერთხელ ელოდებიან გარკვეულ შიდა პარტიულ ან ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილებას და მე ამას ვერ დაველოდები.

***– თქვენ კი გადანაშაულებენ იმაში, რომ ბლოკის შექმნა არ გსურთ...***

– პირდაპირ გეტყვით, არ ვთვლი სწორად დღეს ბლოკებზე და ნებისმიერ სხვა გაერთიანებაზე შეთანხმებას.

***– რატომ, საბოლოოდ უთხარით ექვსიანის ლიდერებს ბლოკის შექმნაზე უარი ?***

– ეს არის ნაადრევი, ჯერ უნდა დაინიშნოს არჩევნები, საბოლოო უარი არ მითქვამს, არავითარ შემთხვევაში. საზოგადოებას დღეს სჭირდება დაინახოს მათი პრობლემებით გულანთებული პოლიტიკური ძალა, რომელიც დაიცავს მათ პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს. ეს არის დღეს გასაკეთებელი და ამ ნაბიჯების გადადგმა მე დავიწყე უკვე დიდი ხანია, მაგრამ მე მჭირდება სხვა პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამას ხედავენ და გახდებიან ამ ბრძოლის კონკრეტული ნაბიჯებისი თანამონაწილე.

***– ანუ თავად გახადეს ექვსიანი უმოქმედო და სხვებს, მათ შორის, ალასანიას აბრალებენ ერთიანობა არ უნდაო? რით ხსნით იმას, რომ მოულოდნელად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეიკავეს ?***

– საზოგადოებას არ აინტერესებს როგორი კონფიგურაცია იქნება პოლიტიკურ ძალაში, მათ აინტერესებთ დაინახონ, რომ ლიდერს სტკივა მათი სატკივარი და ამის დანახება თბილისიდან, ოფისებში ლაპარაკით ვერ მოხერხდება. ჩვენ ვერ გავუკეთებთ მობილიზებას მოქალაქეებს, თუკი ამაზე მხოლოდ ვილაპარაკებთ და ვიქნებით ჩაკეტილი ოფისებში, ამიტომაც მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ძალას რეალურად დაიწყოს ხალხის მობილიზება და სატკივარის გაზიარება.

***– ანუ ექვსიანი გეგმას კი არ დადებს, არამედ დაიშალა, ჩაილურის წყალი დალია?***

– ჩვენ გუშინ გვქონდა შეხვედრა, მე მოვიწვიე ექვსიანის ლიდერები და ვილაპარაკეთ. ძალიან ნათლად ვუთხარი მათ, რომ მოქმედებები, რომლებიც დაწყებული აქვს თავისუფალ დემოკრატებს, არის ის, რასაც საზოგადოება ჩვენგან ელის. ვისაც უნდა, რომ გახდეს ამის თანამონაწილე ჩვენი კარები ღიაა. ერთად გავაკეთებთ ამას, თუკი გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ მე ვერ დაველოდები ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას. მე უკვე დავიწყე ეს მოქმედება.

***– და რა გითხრეს, როგორია მათი საბოლოო პოზიცია ?***

– პოზიციები გაირკვევა, ბრძოლაში გამოჩნდება ეს. არ შეიძლება პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდეს ოფისებში ჩაკეტვით.

***–მოკლედ, ექვსიანი მარტივ მამრავლებად დაიშალა.. გილოცავთ...***

– ექვსიანმა გააგრძელა საარჩევნო რეფორმაზე დაწყებული პროცესი და მხოლოდ იმ ინერციით გააგრძელა მუშაობა და ეს არის ჩემთვის მიუღებელი, ჩემთვის მთავარია თითოეულ ოჯახში, რომ შევიდე და ავუხსნა ხალხს, რომ ჩვენი ბედი ჩვენზეა დამოკიდებული. ექვსიანის ლიდერებმა კი ვერ აუბეს მხარი თავისუფალი დემოკრატების კონკრეტულ ქმედებას. ხვალ, ზეგ თუკი ამ ბრძოლაში თანამონაწილეები გახდებიან, რა თქმა უნდა, ეს არის ის საქმე, რომელშიც ყველა ქართველ პოლიტიკოსს ექნება თავისი ადგილი.

***– რატომ მიხვედით აქამდე, რატომ ვერ შეთანხმდით, რა აზრი ჰქონდა რვიანის შექმანს საერთოდ? თქვენ ვერაფერს მიაღწიეთ...***

– დიდი აზრი ჰქონდა. ჩვენ დავიწყეთ საარჩევნო რეფორამზე მუშაობა შარშან, ხელისუფლებამ გამოავლინა კიდევ ერთხელ, რომ არ სურს რეალური საარჩევნო რეფორმის ჩატარება ქვეყანაში. უახლოეს დღეებში დაიწყება განხილვები პარლამენტშიც და მე მივიღე გადაწყვეტილებ,ა რომ ვაგრძელებ საკუთარი პარტიით ბრძოლას, რომ მობილიზება გავუკეთო მილიონ ამომრჩეველს. თუ მომავალში ექსვიანის, ან სხვა პოლიტიკური ძალის ლიდერი გადაწყვეტს, რომ ეს არის მათი ხაზი, ხედვა, მაშინ ბუნებრივია, მომავალში ჩვენ გვექნება მათთან პარტნიორობა. მაგრამ დღეს იმ ფორმით, როგორითაც ექვსიანი არსებობდა საკუთარ მოქმედებას ვერ აგრძელებს.

***– ექვსიანის დაშლის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ კაბინეტებში არჩიეს ჯდომა და არ გამოგყვნენ?***

– გიმეორებთ, რამდენჯერაც შევთავაზე, გავსულიყავით რეგიონებში, უარი თქვეს, არ წამოვიდნენ. მათ საკუთარი მოსაზრებები ჰქონდათ, ამ მოსაზრებებს აქვს საკუთარი პარტიული გამოცდილება და წარსული და ამ ყველაფერმა არ გახადა შესაძლებელი გამხდარიყვნენ ამ საერთო ბრძოლის თანამონაწილე.

***– ხელისუფლების ხელი ხომ არ ურევია ამ ყველაფერში ?***

– ვერ ვხედავ ხელისუფლების ხელს. დრო აღარ უნდა დაიკარგოს და თითოეული მოქალაქე უნდა გავხადოთ ამ ბრძოლის თანამონაწილე. ამის გაკეთება კი არ შეიძლება, ოფისებიდან, აუცილებელია ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობა. აი, ამ ნაბიჯების გადადგმაში მათ არ მიიღეს მონაწილეობა.

–რატომ თქვეს ხალხთან ურთიერთობაზე უარი ა.წ. გარდაცვლილი ექვსიანის სხვა სუბიექტებმა?

***–ამას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს, ამ პროცესში ენერგიის ხარჯვას მე გადავწყვიტე ენერგია და პარტიული რესურსი დავხარჯო ხალხის მობილიზებაში.***

– არადა, ჯერ კიდევ გუშინ ფორუმი აცხადებდა, არათუ ვიშლებით, არამედ უნდა გავასუქოთ ექვსიანიო...

– ვის რა უნდოდა, ამას გამოაჩენს მომავალი. ამას გამოაჩენს ის, ამ ბრძოლაში ვინ გამოიჩენს თავს. ვერ დაველოდები ვერც ერთ პარტიას, მე დავიწყე ეს საქმე და ბოლომდე მინდა მივიყვანო. არანაირი დაპირისპირება ამ პარტიებთან არ მქონია. უმოქმედობა მათი მხრიდან გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ რეალურად ვერ განხორციელდა ის პროექტი, რომელიც ჩაფიქრებული იყო.

# „ბორჯომს“ რუსეთში ხელისუფლება არ უშვებს

შალვა ჯოხაძე

**რუსეთში უხარიათ, რომ მალე კვლავ შეძლებენ ქართული ღვინო სვან და ნაბახუსევზე “ბორჯომიც“ დააყოლონ. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, სააკაშვილი ამას არ დაუშვებს. ამ შემთხვევაში, სააკაშვილს ჩვენი ღვინისა და წყლის გასაღებას ურჩევნია, სხვა ქვეყნების ბაზარზე მათი წარმატებით გატანის შესახებ მითებით გვკვებოს.**

რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებაზე ჩვენს ხელისუფლებას რა პოზიციაც აქვს, ეს მიხეილ სააკაშვილის მიერ ცოტა ხნის წინ კახეთში გაკეთებულ განცხადებაში კარგად ჩანს. ფაქტობრივად, ღვინის ბიზნესით დაკავებულ ქართულ კომპანიებს მან რუსულ ბაზარზე შესვლა აუკრძალა.

“რუსეთში არის ყალბი ღვინის წარმოების გამზადებული ბაზრები... ჩვენ რომ მივილოთ შეკვეთა რუსეთიდან, ჩვენ მივიღებთ იმას, რომ ვიდრე ჩვენ ბოთლებს ვიყიდით და გავაკეთებთ, ისინი მოსკოვსა და პეტერბურგში ჩამოასხამენ ჩვენს ღვინოებს და ჩვენ დაგვრჩება ნული, რადგანაც მთელი ბაზარი აგებულია ყაჩაღობასა და პირატობაზე“, - მზრუნველი ხმით მოუწოდა სააკაშვილმა მეწარმეებს.



თუმცა, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს მეწარმეებზე უბრალო ზრუნვა კი არ არის, არამედ პირდაპირი დირექტივაა, რომ რუსულ ბაზარზე არც კი იოცნებონ.

რუსები კი უკვე აპიარებენ, რომ წლის ბოლომდე საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტი აღდგება. ამის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ გააკეთა. მისი თქმით, ყველაფერი უკვე ქართულ მხარეზეა დამოკიდებული, კერძოდ, მეწარმეებზე, რომელთაც რუსული მხარის მიერ წაყენებული პირობების შესრულება მოუწევთ. საუბარია იმ სტანდარტებზე, რომელსაც ეს პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩვენი ინფორმაციით, სააკაშვილის პოზიციის მიუხედავად, გენადი ონიშჩენკოს უწყების კართან ქართველი მეწარმეების რიგები არ წყდება, ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რომ მათ მიერ დაწურული ღვინო თუ ჩამოსხმული წყალი როგორმე რუსული გასტრონომების დახლებზე მოხვდეს. – რუსეთში ქართული ღვინისა და “ბორჯომის“ დაბრუნების პროცესი დაწყებულია. ეს პროცესი ქართველი ბიზნესმენების ძალისხმევით გრძელდება, რომლებიც აცნობიერებენ, რომ რუსული ბაზრის გარეშე, საქართველოში ამ სფეროების განვითარება შეუძლებელია, – აცხადებს ონიშჩენკო.

როგორც შევიტყვეთ, ღვინის მწარმოებელი რამდენიმე ფირმის წარმომადგენელი ონიშჩენკოს უკვე შეხვდა და ესაუბრა. საინტერესოა, ბოლომდე შეეწინააღმდეგებიან თუ არა ისინი სააკაშვილის განწყობას. ჩვენ მიერ ნახსენები ღვინის მეწარმეების ვინაობა არ სახელდება, თუმცა, „იდს ბორჯომი ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლები ოფიციალურადაც ადასტურებენ, რომ მათი ალმასრულებელი დირექტორი ონიშჩენკოს შეხვდა. მათ “ბორჯომის“ რუსეთის ბაზარზე დაბრუნების საკითხი განიხილეს. „იდს ბორჯომი ინტერნეიშენალი“ საკუთარი ნაწარმით რუსულ ბაზარზე შესასვლელად მზადყოფნას გამოთქვამს.

“კომპანიას გააჩნია ყველა ტექნოლოგიური საშუალება და სამართლებრივი საფუძველი, რათა „ბორჯომის“ მინერალურ წყალზე რუსეთის ბაზრის მოთხოვნა დააკმაყოფილოს“, – ამბობენ კომპანიაში.

რუსული მედიის ცნობით, ცნობილი ემბარგოდან დღემდე, აკრძალული პროდუქცია რუსების სუფრაზე მაინც ხვდებოდა, ისეთი ქვეყნებიდან შედიოდა, რომელთანაც რუსეთს სასაზღვრო რეჟიმი არ აქვს. რუსები ქართულ ღვინოსა და წყალს პირადად ყიდულობდნენ, მაგალითად, მეზობელ ბელორუსიაში.

რუსები ნამდვილად არ ფიქრობენ, ჯანდაბას, რადგანაც ქართული პროდუქცია ჩვენს მომხმარებელს უნდა, შემოვიტანოთო. ექსპერტები აქ სულ სხვა ქვეტექსტს ხედავენ. კერძოდ, იმას, რომ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სურს შესვლა. საქართველო რჩება ერთადერთ ქვეყნად, რომელიც რუსეთს ამის თანხმობას არ აძლევს. ქართული პროდუქციის ბაზარზე შეშვებით რუსეთი ჩვენი ქვეყნის მოთაფლვას ცდილობს, თუმცა იმავე რუსეთშიც კი, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ამით ვერ დაითანხმებს.

ქართველი ექსპერტები კი საკუთარ ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ, რომ ქართული პროდუქციისათვის ემბარგოს მოხსნის საკითხთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობა აქტიურად მიიღონ.

რამაზ საყვარელიძის თქმით, “ჩვენი ხელისუფლების მიერ რაციონალურ გადაწყვეტილებად ისეთ პოლიტიკას მივიჩნევდი, როცა ამ პროცესში თავადაც ჩაერთვება და მისი თანაავტორი გახდება. თუ ამ პროცესს პოლიტიკური დივიდენდები აქვს, რაღაც ნაწილი ხელისუფლებასაც მიელო”.

აღსანიშნავია, რომ რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების საკითხზე შესაბამის სამსახურებთან მოლაპარეკებებს პარტია “თავისუფალი საქართველო“ გაზაფხულიდან მართავს. ცხადია, ამ პროცესში კახა კუკავას მიერ ჩატარებული სამუშაოს დავიწყება არ შეიძლება. ცოტა ხნის წინ, კუკავამაც გვაუწყა, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანისთვის ფედერაციის მხრიდან იურიდიული ბარიერი აღარ არსებობს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, სააკაშვილი ამას არ დაუშვებს.

## ბიწაძის ადვოკატი გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს


ბადრი ბიწაძე


ნონა გაფრინდაშვილი

სასაზღვრო პოლიციის ექს-უფროსის, ბადრი ბიწაძის ადვოკატი, ლევან სამუშია მოწმის სახით "სახალხო კრების" თავმჯდომარის, ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს.

როგორც სამუშიამ "მედიანიუსს" განუცხადა, მან თბილისის სააპელაციო სასამართლოში შესაბამისი შუამდგომლობა დღეს დააყენა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლეთა კოლეგიის პოზიცია ხვალ გახდება ცნობილი.

„ჩვენ მოწმის სახით მხოლოდ ქალბატონი ნონას დაკითხვას ვითხოვთ, რადგან ყველა სხვა მოწმე თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე დაიკითხა", - განაცხადა მან.

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის დროზე ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვაზე უარი განაცხადა, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლო განხილვების პერიოდში უკრაინაში იმყოფებოდა და სასამართლო მის ჩამოსვლას აღარ დაელოდა.

სამუშიას თქმით, გუშინ გამართულ პროცესზე დაცვის მხარემ თავისი შესავალი სიტყვა წარმოთქვა. საქმის განხილვა დღეს განახლდება.

სააპელაციო სასამართლოში ბიწაძის საქმეზე მოსამართლეთა კოლეგიას მარინა ხოლუაშვილი ხელმძღვანელობს.

სამუშიას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო უსამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს და იგივეს უზენაესი სასამართლოც გაიმეორებს, ბიწაძის საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში მოხვდება.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ბიწაძეს ბრალი "პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობაში, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლაში" ედება. თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობით მას გირაოს სახით 100 000 ლარის გადახდა დააკისრა, რის გადახდაზეც ბიწაძის ოჯახმა უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბიწაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას სასჯელის სახედ და ზომად 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ბიწაძის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია. **მედიანიუსი**

## ობამა აღიარებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა დამარცხდეს

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა აღიარებს, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წაგების საფრთხის წინაშე დგას.

როგორც მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, არ ადარდებს, რომ ზოგიერთი თანამემამულე მას "ლუზერად" მოიხსენიებს.

"ამას უკვე შევეჩვიე", — განაცხადა ობამამ.

შეგახსენებთ, ბოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებით აშშ-ში ბარაკ ობამას რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. გამოკითხვების შედეგების თანახმად, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები რომ დღეს ჩატარდეს, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ობამა რესპუბლიკლებთან დამარცხდება.

**მედიანიუსი**

# ცხინვალის რეგიონში საპარლამენტო გადატრიალება მოხდა

### ცესკომ თედეევის საკითხი შეიძლება ხელახლა განიხილოს

*თეა მარხვაიძე*

2 დღის წინ კოკოითიმ რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვის ბრძანება გასცა. მართალია განმარტებები გააკეთეს, ეს ყველას არ ეხებაო. ამის მიუხედავად მისი ცელქობა რუსეთში არ მოეწონათ. როგორც ჩანს სათანადო მითითებებიც მისცეს და ამ უკანასკნელმა საზღვარი გახსნა.

თან უბრალოდ კი არ გახსნა, არამედ რუს სტუმრებთან ერთად მაგრად იქეიფა კიდევაც. როგორც ოსური მედია იუწყება, ცხინვალს "მეგაფონის" დელეგაცია ეწვია. დელეგაციის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე კი სამხრეთ ოსეთში მობილური სატელეფონო კავშირი შეწყდა.

ეს ოპოზიციის მტკიცებით კოკოითის დავალებით გაკეთდა. რათა ამბოხებულ თედეევსა და მის თანამოაზრეებს სატელეფონო კავშირის გამოყენების საშუალება არ ჰქონოდათ.

მობილური კავშირი "მეგაფონელთა" ვიზიტის შემდეგ აღდგა. თუმცა მხოლოდ ნაწილპბრივ. ამის გამო ოპოზიცია ისევ შეშფოთებულია.

მათ აღშფოთებას კი ის "ტუსოვკა" იწვევს, რომელიც კოკოითიმ 4 ოქტომბრის ღამით მოაწყო. ოპოზიციის განმარტებით, ამ ღონისძიებაზე კოკოითის არ ეტყობოდა დაძაბულობა. და რუსებთან თავი ისე ეჭირა ვითომ არაფერი არ ხდებოდა.

მოხდენით კი ცხინვალში ბევრი რამე მოხდა. ოპოზივია ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება 4-5 ოპქომბრის ღამეს ძამბოლატ თედეევის სახლზე შტურმს აპირებდა. ამბოხებული ოსი ოპოზიციონერის დაკავების ბრძანება უკვე გაცემულია. იმ ღამეს დაკავების ოპერაცია არ ჩატარებულა. თუმცა დიდი სროლები კი ატყდა.

ოსური მედიის ცნობით, 4 ოქტომბერს საღამოს თედეევის სახლიდან ავტომანქანა გავიდა. რომელსაც ძალიან მალე ვერცხლისფერმა ნივამ გზა გადაუჭრა და სროლა აუტეხა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს ინციდენტი ხელისუფლების მიერ არის მოწყობილი.

ისინი სხვა პროვოკაციების გამოც გამოთქვამენ პროტესტს. ამბოხებულმა თედეევმა კი რუსეთის პრეზიდენტს მისწერა წერილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ოსურ დაპირისპირებაში მოსკოვი არ ერევა. თედეევს ეს ეწყინა. რადგანაც ამ ქვეყნის მოქალაქეა და თანავ რუსეთის ნაკრებს წვრთბნის თავისუფალ ჭიდაობაში. და რაკი მოსკოვმა მის დაჩაგვრაზე ხმა არ ამოიღო, თედეევი აღშფოთდა და მედვევდევს


სტანისლავ კოჩიევი

შეახსენა, რომ ისდიც რუსეთის მოქალაქეა.

ეს თემა რუსულ მედიაში აქტიურად განიხილება. ამის მიუხედავად არ ვიცით რა პოზიცია აქვს კრემლს. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მოსკოვში იმყოფება კოკოითის მემკვიდრედ წოდებული ანატოლი ბიბილოვი. ეს უკანასკნელი უკვე შეხვდა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს სერგეი ნარიშკინს.

მედვედევის დუმილის ფონზე ხმაური ატეხა მიხეილ მამიაშვილმა. რომელიც ასევე პრეზიდენტია. ოღონდ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის. ისე გასაკვირი ისაა მიშა ამდენ ხანს რომ დუმდა.

ის და ძამბოლატი გადაბმული ძმაკაცები არიან. ამასთან მამიაშვილი დასანახად ვერ იტანს კოკოითის და შანსს არ უშვებს ხელიდან მის გასამწარებლად.

ამჯერად მან საგანგებო წერილით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს მიმართა. მან მინისტრს შეახსენა რა დამსახურებები აქვს თედეევს რუსეთის წინაშე. მამიაშვილმა ლავროვს სთხოვა დაიცვას რუსეთის მოქალაქის უფლებები.

კოკოითის ქმედება დუმაშიც დაგმეს. დუმის დეპუტატების ნაწილი აღშფოთებულია იმის გამო რაც ცხინვალში ხდება. ამასთან ისინი, ვერც კოლეგის გალანძღვას პატიობენ კოკოითის. მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე დღის წიმ სამხრეთელთა პრეზიდენტმა არსენ ფაძაევს პროვოკატორი ეძახა. არადა ეს კაცი შუამავლობას კისრულობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ის დუმის დეპუტატია და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონიც გახლავთ.

სხვათა შორის არსენა იყო დუმაში კოკოითის აქეთ-იქეთ რომ დაატარებდა. მაგას რომ გაუყადრა თავი ამხელა დონის სპორტსმენმა, კია ღირსი იმ თავგასიებულმა პროვოკატორი ეძახოს.

ვალში პრეზიდენტს არც ფაძაევი დარჩენია. პასუხის გაცემა კი დააგვიანდა, მაგრამ საკადრისი მიაზღო.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ცესკოს ერთ—ერთი წევრი სამხრეთ ოსეთის გენპროკურორ ხუგაევს ზეწოლაში ადანაშაულებს. "ახალი თაობა" უკვე წერდა, რომ იმ დღეს როცა ცესკო თედეევის საკითხს განიხილავდა, ხუგაევი შენობაში შევარდა.

მან შენობაში მყოფ თედეევს ხელიც დაარტყა. თედეევის თქმით, ხუგაევმა ცესკოს წევრებზე ზეწოლა განახორციელა. მისი რეგისტრაციაში გაუტარებლობა მხოლოდ ერთმა ხმამ გადაწყვიტა. 7 კაცი მისი წინააღმდეგი იყო, 6 –^მპომხრე. ორმა კი თავი შეიკავა. სწორედ ერთ-ერთი თავშეკავებული ამბობს, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა. ეს განცხადება საჯაროდ გაკეთდა და წესით ცესკომს საკითხი ხელახლა უნდა განიხილოს.

თედეევის გარშემო ატეხილმა ჟრიამულმა სულ დაავიწყა ოსებს თავიანთი პარლამენტის სპიკერი. აქაურ პარლამენტს გუშინდლამდე ოსი კომუნისტი სტანისლავ კოჩიევი ედგა სათავეში. გუშინ კი ის გადააყენეს.

ეს მოსალოდნელიც იყო. რადგანაც სწორედ კოჩიევმა ჩაშალა კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტების ამბავი. და ამას მას არავინ არ შეარჩენდა.

პორტალ "ოსეტია.კვაისას" ცნობით, ამიერიდან სამხრეთ ოსეთის პარლამენტს სათავეში ზურაბ კოკოევი ჩაუდგა.

არადა ცესკოს წევრზე განხორციელებული ზეწოლა პარლამენტს უნდა განეხილა. ზურაბ კოკოევის გასპიკერების შემდეგ კი ეს გამორიცხულია.

კოჩიევს კოკოითიმ პოლიტიკური წირვა გამოუყვანა. თედეევს ჯერ ვერაფერს უხერხებს. რადგანაც მას ასეულობით კაცი იცავს.

— ჩვენ ყველანი მწტობრში ვართ. ბესიკ კუდუხოვი კი ღამის გუშაგია, — განაცხადა გენერალმა ნარანკევიჩმა.

რომელიც ასევე კოკოითის მტერია. ის აგვისტოს ომის დროს სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო. ეს ის კაცია, ვინც კოკოითი ომიც დროს ცხინვალიდან გაიქცევაში ამხილა. ცნობისათვის ომი რომ დაიწყო, ლოლოითი გაიქცა და ჯავაში იმალებოდა. ის ცხინვალში მას შემდეგლა დააბრუნეს. როცა იქ რუსული არმია შევიდა.

# ჟენევის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჟენევის მოლაპარაკებების მეჩვიდმეტე რაუნდთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, 4 ოქტომბერს ჩატარდა ჟენევის მოლაპარაკებათა მეჩვიდმეტე რაუნდი, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში - უსაფრთხოებისა და სტაბილურობის და დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხები.

ჩატარდა ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელთა მონაწილეებიც ინდივიდუალური სტატუსით იყვნენ წარმოდგენილნი. მოლაპარაკებებს თანათავმჯდომარეობდნენ გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლები და ესწრებოდნენ მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჟენევის მოლაპარაკებათა მეჩვიდმეტე რაუნდში მონაწილეობდნენ აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია. სამუშაო ჯგუფებში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები.

მეჩვიდმეტე რაუნდს ევროკავშირის მხრიდან პირველად დაესწრო ახალი თანათავმჯდომარე - ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის და საქართველოში კრიზისის საკითხებზე ელჩი ფილიპ ლეფორი. მეჩვიდმეტე რაუნდს ასევე დაესწრო ევროკავშირის ყოფილი წარმომადგენელი ელჩი პიერ მორელი.

"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სურს აღნიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც პიერ მორელიმ შეიტანა ჟენევის მოლაპარაკებების შექმნაში და პროცესის წარმართვაში მადლობა გადაუხადოს მას თავდადების, მონდომების, ენერგიულობისა და კრეატულობისთვის.



ქართული მხარე ასევე მიესალმება ევროკავშირის ახალ თანათავმჯდომარეს და წარმატებებს უსურვებს მას ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

4 ოქტომბრის რაუნდზე კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ რუსული მხარე და ცხინვალის და სოხუმის მარიონეტული რეჟიმები არ აპირებენ სერიოზულად განიხილონ უსაფრთხოებასთან და სტაბილურობასთან, და დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. რუსეთის უკიდურესად პოლიტიზირებული პოზიციის გამო, შეუძლებელი ხდება პროგრესის მიღწევა არა მხოლოდ ჟენევის მოლაპარაკებების დღის წესრიგში არსებულ ფუნდამენტურ საკითხებზე, არამედ ჰუმანიტარული ხასიათის თემებზეც", — ნათქვამია სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.

საგარეო უწყების ცნობით, რუსეთის ფედერაცია კვლავ უარს აცხადებს აიღოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება არ გამოიყენოს ძალა საქართველოს წინააღმდეგ. მოსკოვის მიერ ისევ იქნა გახმაურებული აბსურდული იდეა, რომ რუსეთი მზად არის იყოს რეგიონში მშვიდობის და ძალის არგამოყენების გარანტი. „ამ იდეით მოსკოვი ცდილობს წარმოჩინოს თავი როგორც მშვიდობის გარანტი და არა კონფლიქტის მხარე, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შელახვასა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების და პრინციპების, ასევე 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების უხეშ დარღვევაზე. საგულისხმოა, რომ რუსეთის ყველა მცდელობა ხაზი გაუსვას თავისი, როგორც მედიატორის და მშვიდობისმყოფელის სტატუსს და აირიდოს დამოკიდებულება როგორც კონფლიქტის მხარისადმი წარუმატებლად სრულდება. ამასთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია აქვს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თანათავჯდომარეების და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს", — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს წარმომადგენლებმა პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე კვლავ მოითხოვეს რუსეთის მხრიდან, რომ მოსკოვმა ითანამშრომლოს საქართველოსთან ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სპეციალური სამსახურების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების გამოძიებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხარეს გადაეცა აუცილებელი დოკუმენტაცია, ოფიციალური პასუხი რუსეთის მხრისგან ქართული მხარის მოთხოვნაზე ჯერ უცნობია.

"პირველ სამუშაო ჯგუფში განხილული იქნა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების საერთაშორისო რეჟიმის დამკვიდრებას ოკუპირებულ რეგიონებში. საქართველო იზიარებს თანათავმჯდომარეების მიდგომას, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში უსაფრთხოების და სტაბილურობის დამკვიდრება უნდა მოხდეს თანდათანობით, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის გზით. ამასთან, უსაფრთხოების და სტაბილურობის საბოლოოდ დამკვიდრება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მოხდება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების სრული შესრულება, რუსეთის საოკუპაციო ძალების გასვლა საქართველოს ტერიტორიიდან და საერთაშორისო სამშვიდობო და საპოლიციო ძალების განლაგება ოკუპირებულ რეგიონებში.

თანათავმჯდომარეების მიერ ასევე შემოთავაზებული იქნა კონკრეტული იდეები ომით და ხელოვნურად შექმნილი გამყოფი ხაზებით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ზომებთან დაკავშირებით. ნდობის აღდგენის ზომებზე 3 ოქტომბერს ასევე გაიმართა საინფორმაციო სესია, სადაც ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს იქ მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაცია და მისი მარიონეტული რეჟიმები არ აღმოჩნდნენ მზად მხარი დაეჭირათ ამ იდეებისთვის.

შემაშფოთებელია, რომ მეორე სამუშაო ჯგუფში მოსკოვი და მისი მარიონეტული რეჟიმები უარს აცხადებენ განიხილონ დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. თანათავმჯდომარეების და ქართული მხარის ყველა მცდელობა დისკუსია წარიმართოს დაბრუნების პრინციპების შეთანხმების, ან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის მიმართულებით, ჩიხში შედის მოსკოვის, სოხუმის და ცხინვალის ხისტი პოზიციის გამო", — აღნიშნულია საგარეო უწყების ინფორმაციაში..

მეჩვიდმეტე რაუნდის დროს ქართული მხარის, თანათავმჯდომარეების და აშშ-ის წარმომადგენლების მიერ ცალსახად აღინიშნა, რომ შეშფოთებას იწვევს ადგილობრივი მაცხოვრებლების ადმინისტრაციული საზრვრის გადაკვეთის გამო უკანონოდ დაკავების და გასამართლების ფაქტები. ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს ამჟამად დაკავებული ჰყავს 16 ადამიანი, რომელთა უპირობო გათავისუფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. საქართველო კვლავ მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ამ ადამიანების ბედს და განაგრძოს ამ საკითხის დაყენება ოფიციალურ მოსკოვთან.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მეთვრამეტე რაუნდი გაიმართება 2011 წლის 14 დეკემბერს. **მედიანიუსი**

# სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი სარკოზის წინაშე მონანიებას აპირებს“

## რატომ უწოდა საფრანგეთის პრეზიდენტს ქართველმა კოლეგამ კორუმპირებული

თეა მარხვაიძე

ხვალ საქართველოს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ეწვევა. ნაციონალებმა მის დასახვედრად, როგორც იტყვიან, თავი მოიქაჩლეს. ნაციონალური არხები გამუდმებით გვახსენებენ, რომ სარკოზი 2008 წლის აგვისტოში გვერდში დაუდგა საქართველოს.

ეს ამბავი ყველას კარგად გვახსოვს. გვახსოვს, როგორ გაიქცნენ ქართველი ჩინოსნები საქართველოდან. ზოგი დაგვყვიროდა – მტერს დანაჩანგლით და ჩაიდნებით შეებითო.პ ამ დროს საქართველოში სარკოზის ჩამოსვლა მართლაც დიდი მოვლენა იყო.

დღეს ყველამ იცის, რომ მისი ჩარევით მოხდა რუსული ჯარების შეჩერება. ამისთვის ქართველი ხალხი მისი მადლიერია. და მადლიერმა ერმა 2008 წლის აგვისტოში ბევრი იყვირა სარკოზ-სარკოზო. ამის გაკეთებას წელსაც აპირებენ.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ნაციონალების აქტივისტებს სარკოზის ძახილში საგანგებოდ ავარჯიშებენ. სხვათა შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ქუდზე კაცი და მანდილზე ქალია გამოძახებული. ისინი 7 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე უნდა დადგნენ.

ოპოზიცია ეჭვობს, რომ იმ დღეს თავისუფლების მოედანზე სხვა პრეზიდენტის სახელსაც დაიყვირებენ. ალბათ, კარგად ხვდებით, ვინ არის ეს სხვა.

სააკაშვილი მართლა ყველაფერს გააკეთებს, რომ სარკოზის აჩვენოს, როგორ უჭერს მას ხალხი მხარს.

ალბათ, ყველას გახსოვთ, რა მოხდა სვეტიცხოველში მიმდინარე წლისD13 ივლისს. იმ დროს საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის სიტუაცია დაძაბული იყო. პარლამენტმა რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით კანონი თავპირისმტვრევით მიიღო.

ამ კანონმა საპატრიარქოს აღშფოთება გამოიწვია. 11 ივლისს სინოდის სხდომაც კი გაიმართა. 13 ივლისს სვეტიცხოველში პატრიარქი აღავლენდა წირვას. შუა წირვაზე ტაძარში სააკაშვილი შეიჭრა ქარივით, პატრიარქს ემთხვია და ისევ უკან გამობრუნდა. ეზოში შეკრებილი ხალხი კი მიშა, მიშას ყვიროდა.

ამით სააკაშვილმა ყველას დაანახა, რომ მრევლი მას უჭერდა მხარს, მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ადამიანები იქ რამდენიმე ათეიული მიკროავტობუსით მიიყვანეს. ცხადია, ყველა საგანგებოდ შერჩეული მიშისტი იყო. თანაც ისეთები, მჭექარე ხმა ვისაც ჰქონდა.

ჰოდა, ტაძრის ეზოში თუ იყვირეს, ვითომ თავისუფლების მოედანზე რატომ ვერ დასჭექენ პრეზიდენტის



სოსო ცისკარიშვილი

სახელს. მით უფრო, რომ ამას თანამდებობა ავალდებულებთ.

თანაც რა კარგი დასაძახებელია “მიშა“. ისე, ვინ რას იყვირებს, მისი პირადი საქმეა. ახლა ოპოზიცია იმას არკვევს, რა ნამუსით შეხედავს სააკაშვილი თვალებში სარკოზის.

ყველას კარგად გვახსოვს, რა ამბები ატყდა გასულ წელს “მისტრალის“ გარშემო. საქართველო ამაოდ სთხოვდა პარიზს მოსკოვისთვის არ მიეყიდა შვეულმფრენმზიდი. თბილისის თხოვნა საფრანგეთმა ყურად არ იღო. ამას ჩვენი ნაციონალები როგორ მოითმენდნენ. დაიწყეს საფრანგეთის ლიდერის ლანძღვა. ნიკოლა სარკოზი ჩვენს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც შემოელანძღა.

უცხოური მედიის მოყვარულმა სააკაშვილმა შარშან ავტორიტეტულ გამოცემა

“უოლსტრიტ ჯორნალს“ მისცა ინტერვიუ. სადაც ის სარკოზის კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებს. რაკი მან რუსებს მისტრალი მიჰყიდა.

ამ ამბებიდან ერთი წლის თავზე კი ის საგანგებოდ ხვდება საფრანგეთის ლიდერს. რომელსაც რუსული ტანკების შეჩერებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს სააკაშვილისგან ასეთი რამე არ უკვირს.

– არაფერი გასაკვირი არ არის. რადგანაც ჩვენს პრეზიდენტს ახასიათებს ასეთი არაადეკვატური განცხადებების გაკეთება. მას ადრეც გაუკეთებია მსგავსი ტიპის განცხადებები. კარგია, რომ სარკოზიმ ამ განცხადებას ყურადღება არ მიაქცია და საქართველოში ჩამოდის, – განაცხადა ცისკარიშვილმა “ახალ თაობასთან“ საუბარში.

ექსპერტს არც ის დიმპიტაური უკვირს, რომლითაც ნაციონალები სარკოზის ეგებებიან. მსგავსი რამ საქართველოში 2005 წელსაც მოხდა. მაშინ საქართველოს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ესტუმრა და ერი დღემდე ბედნიერია მან ერთი-ორი ხინკალი რომ დააგემოვნა.

ვნახოთ, რით გააბედნიერებს სარკოზი საქართველოს. ბუშისგან განსხვავებით, ის საქართველოში გაცილებით ცოტა დროს გაატარებს. თუმცა ნაციონალები რაღაცას აუცილებლად მოახერხებენ.

– სააკაშვილს ხშირად სჩვევია, რაღაცა თქვას და მერე რადიკალურად საპირისპირო დაამტკიცოს. ახლა ამბობს, რომ სარკოზი მისი და საქართველოს მეგობარია. საქართველოში მისი ჩამოსვლის დღე უქმე დღედ გამოაცხადეს. ოფიციალური ვერსიით 7 ოქტომბერი დასვენების დღედ თბილისობის გამო გამოაცხადეს. სინამდვილეში სხვა რამესთან გვქონდეს საქმე. ჩვენი ხელისუფლება სარკოზის დიდი სიურპრიზის მოწყობას უპირებს. რაც ერთგვარი მონანიებაა იმ განცხადებისთვის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა

როგორც უკვე ვთქვით, სარკოზის დასახვედრად დიდი სამზადისია. საფრანგეთის პრეზიდენტს ათეულობით ადამიანს დაახვედრებენ, ბევრი მართლა იმიტომ მივა, რომ ომის დროს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის მადლობა გამოხატოს. ძირითადი მასა კი იქ სხვა მისიით მივა. ამით სარკოზი დაინახავს, როგორ უყვარს სააკაშვილი ქართველ ერს.

ოპოზიცია ხვდება, რომ სააკაშვილი ამ ვიზიტს სათავისოდ შემოატრიალებს. ამიტომაც გამუდმებით გაიძახიან, ის აქ პრეზიდენტის მხარდასაჭერად არ ჩამოდისო. ამის გარდა მის დასახვედრად არასამთავრობოებიც ემზადებიან. ისინი 7 ოქტომბერს საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ. საეჭვოა მათმა პროტესტმა სარკოზის ყურამდე მიაღწიოს. ამაზე ხელისუფლება საგანგებოდ მოემზადება.

არ არის გამორიცხული, თბილისში სარკოზის ქუჩა გაჩნდეს. 2005 წელს ასე გაჩნდა საქართველოში ბუშის ქუჩა. ეს სახელი მელაანის ქუჩას დაარქვეს. ამის გამო სააკაშვილს მელაანელები მაგრად შემოსწყრნენ. მაგრამ ბოლოს ისინი სააკაშვილმა შემოირიგა.

და სადაც სანაპიროს ჰეიდარ ალიევის სახელი დაარქვეს, რა გასაკვირია, დედაქალაქში სარკოზის ქუჩაც გამოჩნდეს. ამ კაცს ამაგი ნამდვილად აქვს ჩვენზე. თანაც თბილისში ბევრ ქუჩას მართლაც აქვს სახელი შესაცვლელი.

# უმრავლესობა ივანიშვილის პარტიის შექმნაზე განცხადების კომენტირებას 7 ოქტომბრამდე არ აპირებს

საპარლამენტო უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური საქმიანობის დაწყებაზე განცხადების გაკეთებას 7 ოქტომბრამდე არ აპირებს. როგორც “მედიანიუსს” დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა განუცხადა, მან ჯერჯერობით მხოლოდ ანონსი ნახა, რომ ბიძინა ივანიშვილის შესაბამისი განცხადება 7 ოქტომბერს გაკეთდება.

“ამიტომ ამაზე ჩემი კომენტარი არასერიოზული იქნებოდა”, -- აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა და 7 ოქტომბრის მნიშვნელობაზე საუბარი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ვიზიტის შეფასებით გააგრძელა.

“საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში გარდამტეხი იქნება. სწორედ ამით იქნება გამორჩეული ეს დღე”, -- აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა.

როგორც “მედიანიუსს” დეპუტატმა ვახტანგ ბალავაძემ განუცხადა, რამდენადაც მან იცის, ბიძინა ივანიშვილს პარტიის შექმნაზე განცხადება არ გაუკეთებია.

“წინასწარ რთულია იმაზე კომენტარის გაკეთება, რომ ვიღაცა როდესღაც პარტიას ქმნის. როცა შესაბამისი განცხადება გაკეთდება, მაშინ ჩვენი მხრიდანაც კონკრეტული განცხადების გაკეთება გახდება შესაძლებელი. მერე გავიგებ და ვიტყვი, ახლა რა ვიცი, ვინ რას, როდის და როგორ აპირებს”, -- აღნიშნა ვახტანგ ბალავაძემ და საუბარი ასევე ნიკოლა სარკოზის ვიზიტის შეფასებით განავრცო.

„რაც შეეხება 7 ოქტომბერს, ის ნამდვილად მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ლიდერი ჩამოდის, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი”, -- აღნიშნა ვახტანგ ბალავაძემ.

მედიანიუსი

# ალექსანდრე ანქვაბი დიმიტრი მედვედევთან შესახვედრად მოსკოვში გაემგზავრა

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი მოსკოვში გაემგზავრა. ანქვაბს თან გაჰყვა ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის დელეგაცია. როგორც “აპსნი პრესი” იუწყება, დელეგაციაში შედის ე.წ ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი, ფინანსთა მინისტრი ბესლან კუბრავა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ასლან ბჟანია, ჯანდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ მარშანია, ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარე რომან დბარი, საარქივო სამმართველოს უფროსი რომან ღვინჯია და ინფორმაციისა და მასობრივი კომუნიკაციების სამმართველოს ხელმძღვანელი კრისტიან ბჟანია. დელეგაცია მოსკოვში აეროპორტ “სოხუმიდან“ გაფრინდა.

ანქვაბი რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვდევმა მიიწვია, რომელთანაც შეხვედრა დღესგაიმართება.

კრემლში ანქვაბის და მედვედევის შეხვედრის შემდეგ დე ფაქტო რესპუბლიკის მარიონეტულ მთავრობის ლიდერი და რუსეთის პრეზიდენტი ორმხრივი შეთანხმებებს მოაწერენ ხელს. მოსკოვში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიწვევა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ვალენტინა მატვიენკომ ალექსანდრე ანქვაბს მისი ინაუგურაციის დღეს, 26 სექტემბერს გადასცა.

მედიანიუსი

# „ისი პარიმ“ ახალი ბრენდი წარმოადგინა



ნათია ხურცილავა

პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი ისი-პარი ქართველ საზოგადოებას სიახლეს სთავაზობს. სიახლე ერთგვარი სიურპრიზია საქართველოსთვის, რადგან დიზაინერი ელი სააბი მხოლოდ 25 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ხვალიდან კი ის უკვე ისი-პარის ლუქს ბრენდებს შორის მოიწონებს თავს.

ისი-პარი თავის მომხმარებლებს ექსკლუზივებით ანებივრებს.

ელი სააბი ლუქს ბრენდია. დიზაინერი, რომლის ნამუშევარიც პრინცესების კუთვნილებაა.



კეტია აკერმანი და ხატია შამუგია

ელი სააბი საღამოსა და საქორწილო კაბებს ქმნის. თითოეული კაბის ღირებულება 60 –80 ათასი ევროდან იწყება. მისი თითოეული ქმნილება ხელოვნების ნიმუშია. მდიდრული, ძვირფასი თვლებით მორთული კაბები არაამქვეყნიურ შთაბეჭდილებას ქმნიან.

ელი სააბი არის დიზაინერი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასოცირდება სიმდიდრესთან და დახვეწილობასთან.

ელი სააბი– დიზაინერი, რომელიც ქმნის ქალებისთვის. საოცრად დახვეწილი და ამავდროულად ქალური, ჰაეროვანი ნამუშევრები ხელით იქმნება.

ელი სააბი უკვე ქმნის თავის პირველ სუნამოს. სუნამოს, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არ ჩამოუარდება მის სადედოფლო კაბებს.

რა შეიძლება ითქვას ელი სააბის სუნამოზე?

პირველ რიგში მდიდრული არომატი, არომატი, რომელითაც ყველა დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანი კმაყოფილი რჩება. სუნამო, რომლიც არ ტოვებს ბანალურობის შთაბეჭდილებას. მდიდრული არომატი, საოცრად დახვეწილი შლეიფით.

სუნამო შეიცავს ფაჩულისა და ორქიდეას არომატს სხვა ყვავილებთან ერთად.

ასევე განსაკუთრებულია ის ბოთლი, სადაც ელი სააბი ასხია. ბოთლი მთლიანად მინაა, რომელიც დახვეწილი თავსახურავით გამოირჩევა.

ელი სააბი მხოლოდ პარფიუმის სახით არის გამოსული. სხვადასხვა მოცულობის ბოთლებში შესაბამისად მისი ღირებულებაც მილილიტრების რაოდენობით არის განსაზღვრული.

ელი სააბის ახალი ბრენდის პრეზენტაცია შესაფერის გარემოში გაიმართა. პრეზენტაციას ისი-პარის წარმომადგენელი ხატია შამუგია და პარიზიდან სპეციალურად მოწვეული სტუმარი უძღვებოდნენ.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო სუნამო, ტანის კრემი, ტანის ლოსიონი და შხაპის გელი.

ტანის გელი განსაკუთრებული მაჩვენებლებით გამოირჩევა. მას ბარხატის ეფექტი აქვს.

პრეზენტაცია ელი სააბის მდიდრული კაბების ჩვენების ამსახველი კადრების ფონზე გაიმართა.

ელი სააბი წარმოშობით ბეირუთიდან არის, თუმცა მან დიდი ხანია ევროპა დაიპყრო. ის მსოფლიო სამეულში შედის.

**ხატია შამუგია, კომპანია ისი-პარის წარმომადგენელი:**

– ძალიან მნიშვნელოვანი დღე არის არა მხოლოდ ისი-პარისთვის, არამედ პარფიუმერიის მოყვარულთათვის. რადგანაც ისი-პარის მაღაზიათა ქსელში შემოაბიჯებს ისეთი მნიშვნელოვანი ლუქს ბრენდი, როგორიც არის ელი სააბის რიგით პირველი სუნამო. ელი სააბი წარმოშობით ბეირუთიდან არის, რომელიც ოტკუწურიის მსოფლიო სამეულში შედის. ძალიან ცნობილი დიზაინერია. ცნობილი გახდა საღამოსა და საქორწინო კაბებით, რომელიც ძალიან ძვირფასია. თქვენ თავად ნახეთ, როგორ იქმნება მისი თითოეული კაბა. თითოეული მათგანი არის ხელოვნების ნიმუში, რომელსაც თავად ქმნის ხელით და არც ერთი მათგანი არ მეორდება. ელი სააბის კაბების ფასი 60-80 ათასი ევროდან იწყება. მართლაც საოცრად ლანაზია. სხვათა შორის, ჰოლი ბერი გახლდათ პირველი სელებრითი, რომელმაც ოსკარი აიღო სწორედ ელი სააბის კაბაში. ამის მერე წამოვიდა ელი სააბის ბუმი მსოფლიო წითელ ხალიჩაზე. თქვენ არა ერთი ცნობილი სახე ნახეთ, რომლებიც მის კაბას ირგებენ და თავს იწონებენ ამ არაჩვეულებრივი კაბებით წითელ ხალიჩაზე. მათ შორის, რასაკვირველია, პრინცესები. ელი სააბმა გამოუშვა პირველი სუნამო “ელი სააბის პარფიუმი”, რომელიც საქართველოში შემოდის, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენ თავს ვიწონებდით ნარცისო როდრიგესით, რადგან ის ყველა ქვეყანაში არ შედის. მოგეხსენებათ ქვეყნებს არჩევს. ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიც, მაგრამ მთელ მსოფლიოში ერთდროულად შევიდა. მსოფლიო ლანსირება მოხდა. მსოფლიო მასშტაბით 25 ქვეყანაში არის, ამ ოცდახუთეულში მიხვდა ჩვენი საქართველოც, ექსკლუზიურად ისი-პარი. ეს ძალიან გვეამაყება. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ფლაკონი, რომელშიც სუნამო ასხია, ძალიან ლამაზია. ნამდვილი მინაა, სპეციალურად რამდენიმე მოდელი შეიქმნა და ბოლოს თავად ელი სააბმა შეარჩია. როგორც ცნობილია, თავად ერევა არა მხოლოდ სუნამოს არომატის შექმნაში, არამედ მთლიანად, რადგან სუნამო დიზაინერის იმიჯია. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ელი სააბი შედის ისეთ ცნობილ პარფიუმერულ ჯგუფში, როგორიც არის “ბიუთი პრესტიჟ იტერნეიშენალ”, ეს კომპანია ფლობს ისეთ სუნამოებს, როგორიც არის ჟან პოლ გოწიე, ისიმიაკი, ნარცისო როდრიგესი და უკვე ელი სააბი. ოთხივე ბრენდი შეგიძლიათ ისი-პარის ქსელში შეიძინოთ.

***– რა ეღირება ელი სააბის სუნამო?***

– არ მინდა, რომ ჩვენი მომხმარებელი ელი სააბის კაბების სიძვირემ შეაშინოს. სუნამოს ისეთივე ფასი ექნება, როგორც დანარჩენ ლუქს ბრენდებს. 100 მილიმეტრი სუნამო 255 ლარამდე ეღირება. ბრენდს აქვს 50-30 მილილიტრიანი სუნამო და ფასებიც შესაბამისი არის. ისი-პარის მაღაზიათა ქსელში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით იქნება წარმოდგენილი, რადგანაც ძალიან საამაყო ბრენდია. ჩვენს კომპანიას აქვს სტრატეგია, რომ ყოველ სეზონს ვხვდებით სიახლეებით. ეს არ არის არსებული ბრენდის ახალი სუნამო, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს არის განსაკუთრებული მოვლენა. შემოდგომა გამორჩეულად აღვნიშნეთ, რადგან ელი სააბი მართლაც რომ გამორჩეული და პრესტიჟული-ა.

# რატომ ვერ ერთიანდება ოპოზიცია

ნინო მეტრეველი

**ქართული საზოგადოება კი ითხოვს დიდ ოპოზიციურ ერთობას, მაგრამ როგორც წესი, ასეთი ერთობები და კოალიციები მალე იშლებიან. ასე დაემართა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილ გაერთიანებულ ოპოზიცის და 2009 წელს საკნების ქალაქის აქციის დროს, თვეების განმავლობაში ერთად მდგომებს, მერე რომ სათითაოდ ჩუმად დატოვეს ბრძოლის ველი, ასე მოუვიდათ 2010 წლის ადგილობრივი არჩნევების დროს არსებულ 180 ოპოზიციურ ჯგუფს, რომლებიც კინაღამ არჩევნების წინ დაერივნენ ერთმანეთს საქვეყნოდ. დიდ ალიანსში, რომლის მერობის კანდიდატი ირაკლი ალასანია იყო, თავად ალასანიას შემოუწყრნენ თანამებრძოლები ნოღაიდელთან და გაჩეჩილაძესთან კულუარულად თუ ღიად სიარულისთვის. ზვიად ძიძიგურის მხარდამჭერი ალიანსი კი არჩევნებამდე მიატოვა ყოფილმა პრემიერმა, ამათ მე ფულის ტომარა ვგონივარო და დანარჩენებმაც მოიძულეს სიძუნწის გამო.**

ერთმანეთისგან განსხვავებული პოლიტიკურ ძალთა ერთობა ხალხისთვის სახარბიელო არც საარჩევნოდაა, მით უმეტეს, რაიმე პოლიტიკური მიზნისთვის გაკეთებული. სხვათა შორის, თვით ძლევამოსილ ნაცმოძრაობსაც კი ჩამოეშალა თავზე ხუხულასავით 2003 წლის არჩევნებისთვის შექმნილი ბლოკი. რესპუბლიკელებმა პარლამენტში შესვლიდან რამდენიმე თვეში დატოვეს თანამოაზრე ნაცები, მოგვიანებით მათ კონსერვატორებიც შეუერთდნენ.

გაერთიანებების მომხრე პოლიტიკოსები საკუთარ სურვილს ხალხის დაკვეთით ხსნიან. ხალხი მათ ერთობას იმიტომ მოითხოვს, რომ ხედავენ, ცალ–ცალკე ღმერთს არ უქნიან, თორემ იგივე ამომრჩევლს თავის დროზე ოპოზიციაში მყოფი ნაცმოძრაობისთვის არ მიუცია შეკვეთა, ვინმესთან გაერთიანდი, თორემ მარტო ვერაფერს იზამო. ასეთი შეკოწიწებული ერთობა ისევ ხალხისთვისაა არაფრის მომტანი. მიაღწევან თუ არა მიზანს “ხალხის შეკვეთის შემსრულებლები“, მერე კრილოვის იგავის გმირებივით იშლებიან და არჩევნების წინ ხალხისთვის ერთად მიცემული დაპირებები საპნის ბუშტივით ორთქლდება. შეუსრულებლობაზე პასუხს ვერც ერთს ვერ მოსთხოვ. ახლა რომ რესპუბლიკელებს ან კონსერვატორებს უთხრა (ყოფილ ნაცებზე ლაპარაკი აღარაა, დღეს რომ ყველაზე მეტად აკრიტიკებენ ხელისუფლებას), ნაცმოძრაობა რომ ვარდების რევოლუციის წინ ოქროს მთებს გვპირდებოდა და თქვენ მის გვერდით იყავით, სადაა ის დაპირებაო, პასუხად სააკაშვილისკენ გადაგამისამართებენ, ჩვენ რა შუაში ვართო. არადა არიან. ამომრჩევლის ნაწილი მათ ენდო, როცა ნაცმოძრაობას ირჩევდა.

არის, თუ არა ხალხის დაკვეთა პოლიტიკური გაერთიანებები?

სოციოლოგი გოჩა ცქიტიშვილი “პრეა.-ჯე.ტვ“–თან ამბობს, რომ 2009 წლის აქციებმა, დიდი შეცდომაა, როცა ოპოზიციური პარტიები “არარეალისტური, გაუაზრებელი მოთხოვნით ერთიანდებიან ერთი მოძრაობის ქვეშ, მით უმეტეს, იმ დროს, როცა არჩევნები არ არის და ამაზე სოციოლოგიური კვლევის ციფრებიც მეტყველებს. როცა ყველა ოპოზიციური პარტია, მათ შორის – ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ალასანია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ერთად დადგა რუსთაველზე, მანამდე ოპოზიციას ერთად კრებსით 76%–იანი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ როდესაც ერთად დადგნენ, მაშინვე 52% გახდა. მეორე, ქრისტიან-დემოკრატებს, რომელთა რეიტინგი იყო 7–დან 10%–მდე, იმ დროს, იმის გამო, რომ არ მიიღეს მონაწილოება იმ აქციებში, რეიტინგი 2%–მდე დაუვარდათ, მაგრამ ერთ თვეში, როცა “საკნების“ აქციის უსუსრობა გამოიკვეთა, თარგამაძის პარტიის რეიტინგი 11 პროცენტი გახდა, იმაზე მეტი, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. ამდენად, ქრისტიან–დემოკრატების და ლეიბორისტების მიმართ საყვედურები, რომ ისინი ასე ერთობებში მონაწილეობას არ იღებენ, არცთუ საფუძვლიანია.



იგივე დაემართა საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე შეკრებილ “რვიანს.“ ექვსიანად რომ გადაკეთდნენ, იმის სადემონსტრაციოდ კი არ დავშლილვართ, უფრო მაგრები ვართო, 8 ივლისს კალათბურის სასახლეში შეკრება მოაწყეს, პოლიტიკური კოალიციის “დემოკრატიული არჩევანის“ დაარსება საზეიმოდ გვამცნეს, თავი ხელისუფლების ალტერნატივად გამოაცხადეს და დაგვაიმედეს, აწი მხოლოდ სამართლიანი არჩევნებისთვის კი არა, სოციალური პრობლემებისთვისაც ვიბრძოლებთ, არჩევნებს მილიონი ხმა იგებს და არ მილიონი ლარიო. სახელდახელო პროგრამაც გაგვაცნეს, რეგიონების ჩამოვლა, ხელმოწერების შეგროვება, მცირე და დიდი საპროტესტო აქციები...

საზეიმოდ დადებულმა დამაიმედებელმა დაპირებებმა იმ დღესვე მოგჭამათ ჭირი. მას შემდეგ დიდი ექვსიანის ხმა არავის გაუგონია. ყველას ეგონა, რომ შემოდგომით მაინც გააქტიურდებოდნენ, მაგრამ უკვე გამოიკვეთა, რომ “ხელისუფლების ალტერნატივად ექვსიანი“ ისე იშლება, ნაცმოძრაობამ მათი ალტერნატივობის შესახებ ვერც კი გაიგო.

პირველი ნიშანი იმისა, რომ დანიის სამეფოში ყველაფერი კარგად არაა, ზაფხულშივე გამოიკვეთა, ირაკლი ალასანიამ რეგიონებში საკუთარი სტრუქტურების გამაგრებაზე ზრუნვა რომ დაიწყო და არა ექვსიანის დოქტრინებზე მუშაობა. ეროვნული ფორუმის მარშმა კი სააშკარაოზე გამოიტანა ექვსიანის შიგნით არსებული უკმაყოფილება და ეჭვები. საინტერესო ისაა, რომ თვითონ თავისუფალი დემოკრატები და ფორუმი ერთობის შიგნით არსებულ უკმაყოფილებას მალავენ, ამბობენ, რომ არაფერი ხდება, იმიტომ, რომ როგორც დავით ბერძენიშვილი ამბობს, არ უნდათ ალიანსის დაშლა მათ დაბრალდეთ.

თანამოაზრეებისგან განაწყენებულმა რესპუბლიკელებმა, ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა ღიად გამოიტანეს თავიანთი ჭირი. თქვეს, რომ ივლისში ყველაფერი მოლაპარაკებულ–დაგეგმილი იყო და მათთვის ფორუმის და თავისუფალი დემოკრატების საქციელი და განცხადებები, რომელზეც მედიის საშუალებით შეიტყვეს, გაურკვეველ–გამაოგნებელია. საუბარია გუბაზ სანიკიძის განცხადებაზე, რომ ისინი მხოლოდ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის არიან შეკრებილები და ირაკლი ალასანიას ნათქვამზე, რომ საარჩევნო ბლოკებზე საუბარი იანვრის შემდეგ უნდა დაიწყოს.

რატომ დაიწყეს დამოუკიდებელი თამაში შარტავას და ალასანიას პოლიტიკურმა ძალებმა, ამაზე “თავისუფალ არჩევანში“ არ საუბრობენ, მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ და გვერდზე გამდგარი ყოფილი თანამოაზრეებისგან გარკვევით ითხოვენ პასუხს, არიან თუ არა ისინი მზად საერთო ბლოკის შექმნაზე?

“ივლისში კალათბურთის სასახლეში პოლიტიკური კოალიცია გამოცხადდა. კოალიცია პრეტენზიას აცხადებდა ხელისუფლებაში მოსვლაზე, უნდა შეეძინა ხელისუფლების ალტერნატიული ძალის ნიშნები. ამ მიზნით უნდა ემუშავა მთელი ზაფხულის განმავლობაში. მართლაც დავიწყეთ მუშაობა კონკრეტულ საკითხებზე, პროგრამაზე. შემდეგ ერთგვარად გაიყინა პროცესი. ამის შემდეგ „ფორუმმა“ „მარში“ გამოაცხადა, ირაკლი ალასანიას პარტიამ საკუთარი პარტიული აქტიურობა დაიწყო. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია მხარდამჭერების დაბნევა. მკაფიოდ უნდა ითქვას, არის თუ არა პოლიტიკური კოალიცია 8 ივლისს, კალათბურთის სასახლეში, მიღებული გადაწყვეტილების ერთგული. თუ შეუძლებელია, საზოგადოებას ეს პატიოსნად უნდა ვუთხრათ. ერთობა თუ გამოდის, მაშინ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ დროულად,“ – აცხადებს კონსერვატორების ლიდერი ზვიად ძიძიგური და დასძენს, რომ ამ გაურკვევლობის მიზეზი სავარაუდოდ ფორუმის და ალასანიას პარტიის განწყოებების შეცვლაა. “ისინი დღეს ამბობენ, ჩვენ მზად არ ვართ პოლიტიკური კოალიციის ერთიანობაზე სასაუბროდ, მხოლოდ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ვართ შეკრებილებიო. ამის შესახებაც მხოლოდ ტელევიზიით შევიტყვეთ, ჩვენთან საუბრის დროს ესეც კი არ უთქვამთ. გამოდის, რომ ის, რაც ვერის კალათბურთის სასახლეში ვთქვით, მათთვის მიუღებელი ყოფილა“, – მედიითვე პასუხობს ძიძგური.

იგივე ბრალდებებს უყენებენ ორ თავნება თანაალიანსელს რესპუბლიკელებიც. “ჩვენი სურვილი იყო, “ექვსიანი“ ჩამოყალიბებულიყო როგორც ალტერნატივობის პრეტენზიის მქონე კოალიცია. თავის დროზე ამ საკითხმა “ექვსიანში“ მხარდაჭერა მიიღო, თუმცა აგვისტოს ბოლოდან სხვა პროცესები დაიწყო. მთავარი და არსებითი განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ერთიან ძალად ჩამოვყალიბდით და ვფიქსირდებით, თუ ცალკეულ საკითხებზე ვთანამშრომლობთ და არ არის გარკვეული, ვინ საით მიდის. ივლისის დასწყისში იყო შეთანხმება კოალიციაზე, აგრეთვე იმაზე, რომ იქნებოდა პატარ–პატარა მიტინგები, შემდეგ – უფრო დიდი მიტინგი.“

დაიშლება თუ არა არ შემდგარი ალიანსი “თავისუფალი არჩევანი“ ეს უფრო ადრე თუ არა, რვა ნოემბრამდე მაინც უნდა გაირკვეს. რვაში რესპუბლიკელებს ყრილობა აქვთ და იქამდე მოითხოვენ პასუხს. ალიანსმა სიცოცხლე რომც გააგრძელოს, ხელისუფლების ალტერნატივობაზე პრეტენზია ველარ ექნება. ივლისში მიცემული პირობა უკვე დარცვეულია და მათ ერთიანგობის იმედიც რომ არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, ესეც გამოჩნდა.

რატომ იშლება ექვსიანი? ამაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ალიანსი რომ დაარსდა, იმ შეკრებაზე, კალათბურთის სასახლეში ემოციები გუბაზ სანიკიძემ აიყვანა მწვერვალზე: ერთობა გინდათ? აი, ერთობა! ლიდერი გინდათ? აი ლიდერიო და ირაკლი ალასანია წარადგინა ლიდერად. დღეს დარჩენილ ოთხიანში ფიქრობენ, რომ მერე ისევ ფორუმს აღარ მოეწონა ალასანიას ლიდერობა და ალასანიამ ვერ ილიდერა. „არ მინდა, ვთქვა, რომ მხოლოდ ფორუმმა შეუშალა ხელი კოალიციის შექმნას, ალასანიამაც ვერ იტვირთა ის ფუნქცია, რაც მას მივანიჭეთ,“ – ამბობს დავით ბერძენიშვილი. არც ფორუმის ასეთი ამბიცია იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფორუმი და ალასანია ისევ ძმაკაცობენ. ეს ნიშნავს, რომ მიზეზი თუ საბაბი უფრო სხვა რამაა. შეიძლება ამ ორი პოლიტიკური ძალის ამბიციები, რომ ისინი ბევრად ძლიერები არიან დანარჩენ ოთხზე და საარჩევნო სიაში მათთვის ადგილების გაყოფა არ ღირს. თუ ასეა, მაშინ გამორიცხული არაა ფორუმი და „თავისუფალი დემოკრატები“ კვლავ ერთად ვიხილოთ. “ახალი თაობა“ ამაზე უკვე წერდა. გუბაზ სანიკიძე მომავალ პარტნიორებს როგორც ექვსიანში, ისე ექვსიანს გარეთ ეძებს და ბლოკზე ლაპარაკს ისიც ალასანიასავით იანვარის შემდეგ აპირებს. მათ ბლოკში შეიძლება აღმოჩნდნენ ნინო ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე. გაჩეჩილაძესთან უკვე ჰქონდა პარტნიორობის მცდელობა ალასანიას ადგილობრივი არჩევნების დროს, გაჩეჩილაძე ბურჯანაძეს 26 მაისის აქციებზე შეურიგდა, ბურჯანაძე კი ფორუმს ენათესავება. ეს სავარაუდო პარტნიორები აშკარად მიუღებელი იქნებოდნენ რესპუბლიკელებისთვის. შესაძლოა ესეც იყო ალიანსში განხეთქილების მიზეზი.

მესამე მიზეზი, რაზეც პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ, დაფინანსებაა. გაჩნდა თუ არა ინფორმაცია ქართულ მედიაში, რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი მინდია გულუა პარტიას აკეთებს და დასაყრდენს საქართველოში ეძებსო, მაშინვე ეჭვი ფორუმისკენ წავიდა, რომ გულუა ფორუმს შეპირდა დაფინანსებას. სანიკიძე გულუასთან ნაცნობობას ადასტურებს, მაგრამ დაფინასებას კატეგორიულად უარყოფს. ე.წ. რუსული ფულის მიღება არ უნდა აწყობდეთ პროამერიკელ რესპუბლიკელებს. თუმცა სოზარ სუბარის მტკიცებით, ადგილობრივი არჩევნების წინ ირაკლი ალასანია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს სწორედ დაფინანსებაზე სასაუბროდ შეხვდა და მაშინ ალასანიასთან რესპუბლიკელებიც იყვნენ ალიანსში. ძიძიგური და დავითაშვილი საერთოდ რუსეთს სტუმრობდნენ რამდენიმე თვის წინ. თუ გაყრის მიზეზი ფინანსებია, მაშინ როგორც პოლიტოლოგი გიორგი ხუციშვილი ამბობს, სიო სხვა მხრიდან უბერავს. ერთიანი ბლოკის შემთხვევაში პარტიებმა ერთმანეთს ღიად უნდა უთხრან დაფინანსების წყაროებზე, ეს არც ისე იოლი გასაკეთებელია და შეიძლება ამიტომაც იყრებიანო.

მესამე შესაძლო მიზეზი, რაზეც ისევ ხუციშვილი ვარაუდობს, ხელისუფლების ინტერესია. პოლიტოლოგს უჭირს ვარაუდი, მაგრამ ერთობის დაშლაში ხელისუფლების ხელს არ გამორიცხავს.

# ბაღათურიამ მეტროთი სიარული დაიწყო

შორენა გონგლაძე

**ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია პროექტ „ვუსმენთ ხალხს ტრანსპორტში“ გუშინ გლდანის მოსახლეობას შეხვდა. მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ტურნე უკვე მეტროს ვაგონებში გაგრძელდა. ქართული დასის ლიდერის განცხადებით, ამ პროექტის მთავარი მიზანია დაანახოს ხელისუფლებას თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ხალხი, რა მძიმე ტვირთად აწევს გაზრდილი გადასახადები.**

– ეს არის ქართული დასის ახალი პროექტი, ეს უკვე მეორედ გაკეთდა, ჩვენ ვმგზავრობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მეტროთი, ავტობუსით და ვისმენთ ხალხის აზრს. ჩვენ შემდეგ გამოგვაქვს კონკრეტული თემები, ჩვენ დღეს გამოვიტანთ ქართული დასის საპენსიო რეფორმას, რომელიც გულისხმობს მინიმალურ საბაზისო 170 ლარზე დამატებული თითო ნამუშევარ წელზე ორი ლარი და გაჟღე ასევე მეორე ინიციატივა, ჩვენ გვინდა ხალხის აზრი მოვისმინოთ დასუფთავების გადასახადის მიმართ ელექტროენერგიის გადასახადთან, რამაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი. თუმცა ჩვენი ოპონენტები გვიმტკიცებენ, რომ გადასახადი ამით კი არ გაიზარდა, არამედ პირიქით, შემცირდა, მაგრამ მოხდა პირიქით, გადასახადები უკვე არის გაორმაგებული, ხოლო ზამთრის პერიოდში დასუფთავების გადასახადი დაახლოებით შეიდჯერ მაინც იქნება გაზრდილი. ეს ჩვენი სოციალური მდგომარეობისთვის კატასტროფაა. ამ საკითხზეც გვინდა ხალხის აზრი მოვისმინოთ, და მსურველებს საღამოს ათს საათზე ვეპატიჟებით “თავისუფალ ტრიბუნაში“ და ჩვენ გვინდა ამით, რომ ჩვენს ოპონენტებს ჩვენს ხელისუფლებას მივაწოდოთ ხალხის აზრი, თუ როგორია მათი განწყობა საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს პენსიების დაუყოვნებლივ ზრდას და ასევე გვინდა მივაწოდოთ ხალხის აზრი ერთიან ტარიფებზე. ძალიან ხშირად ჩემი ოპონენტები მეუბნებიან, რომ ქვეყანაში არ არის ასეთი მძიმე მდგომარეობა და შენ ამუქებო, მე მინდა, რომ ჩემ გარდა კიდევ სხვა ადამიანებისგან მოისმინონ, რომ რა მდგომარეობაში არიან ადამიანები. კომუნალური გადასახადები, რამამდე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კატასტროფა და აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის არის ძალიან დიდი უსამართლობის განცდა.

*– როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებული იქნება ეს პროექტი? კონკრეტულ შედეგს თუ ელოდებით?*

– ეს არის ძალიან წარმატებული პროექტი, მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე მგზავრი მოვიდა ეთერში და მიიღო მონაწილეობა, მათ მიეცათ საშუალება, რომ გამოეთქვათ ხალხის აზრი და ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, როდესაც ადამიანებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ საჯაროდ გამოთქვან თავიანთი აზრი. მინდა გითხრათ, რომ ყველა ეს ადამიანი ჩვენს პარტიაში გაწევრიანდა, თუმცა ეს ნამდვილად არ არის ჩვენი პროექტის მთავარი მიზანი, რომ მეტროში და ავტობუსებში პარტიის წევრები ვიგროვოთ, მაგრამ ზოგიერთი ასე შორსაც მიდის, რომ ჩვენი პარტიის წევრი ხდება. ამ პროექტის მთავარი მიზანია, რომ მოისმინონ მთავრობამ და ჩვენმა ოპონენტებმა, რომ ხალხი არის გაჭირვებული და სულაც არ არის ისეთი უზრუნველი და ბედნიერი, როგორიც მათ წარმოუდგენიათ. ისინი ყოველთვის მიმტკიცებენ, რომ ხალხს არ უჭირს, ხალხი არის ბედნიერი და გაიგონ, რომ მათ არ აქვთ უფლება, მართონ ტაშფანდური, დროს ატარონ და ფლანგონ ბიუჯეტის ფული.



ჯონდი ბაღათურია

# ლელა წურწუმია ორკესტრის თანხლებით იმღერებს

ეკა ირემაშვილი

8 ოქტომბერს თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერალი ლელა წურწუმია შემოქმედებით საღამოს გამართავს. 11 წლიანი პაუზის შემდეგ მომღერალი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ისევ დაბრუნდება, თუმცა ამჯერად ყოველგვარი შოუებისა და სანახაობების გარეშე. მომღერალს გადაწყვეტილი აქვს, ეს კონცერტი მაქსიმალურად სადა და მხოლოდ და მხოლოდ მუსიკაზე იყოს ორიენტირებული.

კონცერტამდე ლელა წურწუმიამ რეჟისორ ზაზა ურუშაძესთან იმუშავა ფილმზე "დარჩი ჩემთან", რომლის პრემიერაც გასულ კვირას თბილისის კინოთეატრებში შედგა. ეს მომღერლისთვის, რომელიც პროფესიით მსახიობია, პირველი მთავარი როლი აღმოჩნდა ქართულ კინოში. ახლა კი ლელა დიდ საკონცერტო დარბაზში ეპატიჟება თავის თაყვანისმცემლებს, რომლებსაც მისი სიმღერა მოენატრათ.



კონცერტის რეჟისორი უცვლელია – დავით დოიაშვილი, თუმცა წინა კონცერტისგან განსხვავებით, ლელა ამ საღამოზე შოუს მინიმალურ ელემენტებს მოითხოვს. კონცერტის ხმის რეჟისურა ცნობილ იტალიელ ხმის რეჟისორს მათიას სარტოვს აქვს მინდობილი. მომღერლის კონცერტის გახმოვანებაზე მთლიანად კომპანია "ბრავო რეკორდსი" ზრუნავს.

კონცერტზე მისული მსმენელისთვის ლელა წურწუმია 21 მუსიკალურ ნომერს წარადგენს. ყველა მათგანი სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულდება. გაორკესტრებული სიმღერებიდან 19 მსმენელისთვის ცნობილია, ხოლო ორი სიმღერა მსმენელისთვის პირველად აჟღერდება. მომღერალი საღამოზე მეგრულ სიმღერასაც შეასრულებს.

ლელა წურწუამიასთან ერთად კონცერტში ანსამბლი "შვიდკაცა" და "თეატრალური კვარტეტი" მონაწილეობს. დუეტში მომღერალი გიო ხუციშვილთან ერთადაც იმღერებს. ცნობილი შემსრულებლების გარდა, ლელას საღამოზე ახალი სახეებიც გამოჩნდებიან, თუმცა მათი წინასწარი დაკონკრეტებისგან მომღერალი თავს იკავებს.

# საუკეთესო სიმღერის ავტორები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

2011 წელი ვაჟა-ფშაველას წელია. მას დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს იუნესკოც ზეიმობს. ვაჟას 150 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი "საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსებზე" დასრულდა. შემოსულ 39 ნაწარმოებს შორის ჟიურიმ არჩევანი სამ საუკეთესოზე შეაჩერა. გამოვლინდა სამი გამარჯვებული – ზვიად ბოლქვაძე ნაწარმოებით „წუთისოფელი", ნიაზ დიასამიძე ნაწარმოებით „ვაჟა" და ბაკურ ბურდული ნაწარმოებით „ორი". გამარჯვებულებს ფულადი პრემია 3000 ლარი გადაეცათ.

პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა კომპოზიტორს და სიმღერის ავტორს, რომელთაც უნდა წარმოედგინათ სასიმღერო ჟანრის ნებისმიერი მიმართულების ნაწარმოებები (კლასიკური, საესტრადო და ეთნო). კონკურსი პირველ აპრილს გამოცხადდა და ორ ტურად ჩატარდა. ჟიურის ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. საზოგადოებამ მხოლოდ ის შეიტყო, რომ მასში ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, მომღერლები და მუსიკათმცოდნეები გაერთიანდნენ. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება, მისი აქტივიზირება, საუკეთესო ნიმუშის და ახალგაზრდა ავტორების წარმოჩენა. ასევე საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიმართ. კონკურსის ამოცანა კი ქართული მუსიკის პრესტიჟის ამაღლება, მისი ესთეტიკური ღირებულებების გაზრდა და სოციალური მნიშვნელობის გაფართოება, ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის პოპულარიზაციაა. ასევე პროფესიული მუსიკისადმი მსმენელთა ყურადღების გამახვილება, ახალგაზრდა თაობაში მისადმი ინტერესის გაღვივება, ნიჭიერ ხელოვანთა დაფასება და მათ მიერ ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის სახალხო აღიარება.

კონკურსში გამარჯვებულებს წარმატება პირადად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მიულოცა. მან გამარჯვებულები დაასახელა და მათ ფულადი პრემიები გადასცა.

– პრემია განისაზღვრა 3000 ლარის ოდენობით, თითოეულ გამარჯვებულზე. კონკურსი დახურული იყო გამარჯვებულთა ვინაობა დევიზით დაშიფრული კონვერტების გახსნის შედეგად გამოვლინდა. კონკურსზე სულ 39 დევიზი შემოვიდა. სასიხარულოა, რომ ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეზე ამდენი სიმღერა შეიქმნა მის ლექსებზე, თუმცა გამარჯვებული ყველა ვერ გახდა. შემოსული განაცხადებიდან ჟიურიმ სამი საუკეთესო დაასახელა, რომლებსაც ჩვენ ფულადი პრემიები გადავეცით, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

დაჯილდოებას კონურსის მონაწილეები, მუსიკოსები, მოწვეული სტუმრები, სამინისტროს წარმომადგენლები და მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რეკორდსის" ხელმძღვანელი ზაზა შენგელია დაესწრნენ. „ბრავო რეკორდსი" კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების ჩაწერას გეგმავს. საავტორო უფლებების დაცვითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, „ბრავო რეკორდსი" ვაჟას ლექსებზე შექმნილი 3 სიმღერის დისკს გამოსცემს.

ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით, მის მშობლიურ სოფელ ჩარგალში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ვაჟაობა გაიმართა. მის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ანსამბლი „რუსთავი" პოლონეთში მიდის

ეკა ირემაშვილი

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "რუსთავი" საგასტროლო ტურნეში მიემგზავრება. ამჯერად ანსამბლი 8 ოქტომბერს პოლონეთს ეწვევა.

როგორც ანსამბლ "რუსთავის" საერთაშორისო მენეჯერმა მანანა ხვედელიძემ განაცხადა, "რუსთავის" კონცერტი ქალაქ ლუბლინში გაიმართება.

– 8 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით საღამოს 7 საათზე, ანსამბლს ქალაქ ლუბლინის მუსიკალურ თეატრში ცნობილი ფესტივალი "ევროპის უძველესი სიმღერები" უმასპინძლებს, რომელიც უკვე მე-12-ედ იწვევს უძველესი და მდიდარი ვოკალური კულტურის მქონე ქვეყნების საუკეთესო კოლექტივებს. ცნობილი ფესტივალის მიზანი იმ უძველესი მუსიკის ნიმუშების თავმოყრა და აჟღერებაა, რომლებიც ევროპის სხვადასხვა კუთხეში არსებული ტრადიციების მრავალსაუკუნოვან ისტორიას ადასტურებენ. ფესტივალს ტრადიციულად წინ უძღვის ეთნომუსიკოლოგებისა და სამეცნიერო ცენტრების სიღრმისეული კვლევები, დისკუსიები და ლექციები, სამუშაო შეხვედრები, გამოფენები, – განაცხადა მანანა ხვედელიძემ.



პრესტიჟული ფესტივალის საპატიო სტუმარი – ანსამბლი "რუსთავი" სულ მალე დაასრულებს სამხატვრო ხელმძღვანელის ანზორ ერქომაიშვილის გრანდიოზულ პროექტს, რომელიც გულისხმობს მივიწყებული და ახლად აღდგენილი 300 ქართული ხალხური სიმღერის აუდიო-ჩანაწერების შექმნას.

– ფესტივალის "ევროპის უძველესი სიმღერები" სტუმრებს და ეთნომუსიკოლოგებს ეძლევათ უნიკალური საშუალება ცოცხლად მოისმინონ და შეაფასონ ამ პროექტიდან უძველესი სამუსიკო კულტურა, – აღნიშნავს ანსამბლის საერთაშორისო მენეჯერი.

ოქტომბრის ბოლოს ანსამბლი რუსთავი ეკვადორში წარმოაჩენს საკუთარ ხელოვნებას. – ამა წლის მაისის დასასრულს ეკვადორის კულტურის დღეები ჩატარდა საქართველოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოფიციალური დელეგაცია. ახლა კი საპასუხო ვიზიტი მზადდება და საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში ანსამბლი "რუსთავი" ეკვადორელ მსმენელს გააცნობს ქართული სასიმღერო კულტურის უძველეს ნიმუშებს, – განმარტავს მანანა ხვედელიძე.

ანსამბლისთვის საგასტროლო კონცერტებით არანაკლებ დატვირთულია ნოემბრის თვეც. თვის დასაწყისში ანსამბლი "რუსთავი" მიემგზავრება შვედეთში, სტოკჰოლმიდან ისინი კონცერტებით გადავლენ პოლონეთში, ხოლო შემდეგ ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, იტალიის რამდენიმე ქალაქში გამართავენ კონცერტებს. საგასტროლო ტურნეს პარალელურად კი ანსამბლი "რუსთავი" დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტებს ჩაატარებს.




## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● ვასწავლი 5 დღეში კომპიუტერზე სწრაფ, ე.წ. "ბრმა" ბეჭდვის ტექნიკას. ტელ.: 599-42-61-52.

## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# სოხუმმა ევროტურნირი მოგებით დააჭაშნიკა

**სოხუმი - მინსკი-2006 94:78**

**(28: 24; 26: 16; 17: 21; 23: 17)**

**სოხუმი:** ფარღალავა (9), სორდია-აშუბა, ფაცაცია, გაფრინდაშვილი, ჩლაიძე; რობინსონი (27), პირსი (10ქ. 11პ.), გაი (10), ათუაშვილი (18), ქადარია (1), სალიერსი (19).

**მინსკი-2006:** კუდრიავცევი (14), ტრატსინეტსკი (8), ჰოჯი (8), კანოქსი (13), კოჟენეცი (4); ჰოუკინსი (18), ნაკიჩი, ლაშკევიჩი (6), ჩარკო, ჰარდინი (7)

საკალათბურთო კლუბმა "სოხუმმა" არსებობის ისტორიაში პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა. სოხუმელებმა წარმატებულად აიღეს სტარტი ევროჩელენჯის გათამაშებაში და საშინაო არენაზე ბელორუსიის ჩემპიონი "მინსკი-2006" სოლიდური სხვაობით დაამარცხეს – 94:78.

მატჩი საკმაოდ კურიოზულად დაიწყო – სოხუმელთა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა სასტარტო ხუთეულში პირსი, რობინსონი, ფარღალავა, გაი და ათუაშვილი დააყენა, მაგრამ მსაჯებმა ყველა ამერიკელისა და ათუაშვილის მოედნიდან გამოყვანა მოსთხოვეს. ბაგაცკისს სხვა გზა არ ჰქონდა ხუთეულში გაფრინდაშვილი, ჩლაიძე, ფარღალავა, სორდია და ქადარია გაამწესა... მატჩის შემდეგ სიტუაციაში მწვრთნელმა გაგვარკვია:

– მატჩის წინ ხუთეული გვარების მიხედვით დავასახელე. როგორც აღმოჩნდა, იმ ფურცელზე, რომელზეც ჩემ მიერ გამოცხადებული ჩაიწერეს და ფიბას განაცხადში კალათბურთელებს სხვადასხვა ნომრები ჰქონდათ. ამიტომ, ხუთეულის წევრების მოედნიდან გამოყვანა მომიწია და სხვებთან ერთად თამაშში კოჭმტკივანი სორდიაც ჩავრთე.

სწორედ იმ საწყისი წამების გარდა, მთელი შეხვედრის მანძილზე, უპირატესობას სოხუმელები ფლობდნენ და გამარჯვება წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ. უნდა ითქვას, რომ სოხუმელთა მიერ შერჩეული ლეგიონერები მართლაც რომ შესანიშნავად გამოიყურებოდნენ. პიერ პირსი ლაშა ფარღალავას გამთამაშებლობასა და მსროლელობას უცვლიდა და საკმაოდ შედეგინადაც გაისარჯა. ცოტა მეტ ხანს რომ ყოფილიყო მოედანზე, ალბათ სამმაგ დუბლსაც გამოკრავდა ხელს. მისი მონაგარი კი ასეთია – 10 ქულა, 11 პასი და 7 მოხსნა.

ფრენკ რობინსონი კი რობინ ჰუდივით ისროდა – მისმა მონაგარმა 27 ქულა შეადგინა, თუმცა ცალკე გამოსაყოფია სამქულიანები – რობინსონმა 5–დან 5 ჩააგდო. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ბრენდონ გაის დაყენებული სროლა აქვს, რაც გუშინაც გაამტკიცა: 4-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მეტისთვის კი ვერ მოიცალა, რადგან შეტევასა და დაცვაში შავი სამუშაოს შესრულებით იყო დაკავებული და თავი კარგადაც გაართვა. აღსანიშნავია, რომ გაი ხშირად იცვლიდა პოზიციებს და ხან მსუბუქ ფორვარდად თამაშობდა, ხანაც მძიმე თავდამსხმელად.

მარკ სალიერსი – კიდევ ერთი უნივერსალი, რომელიც მძიმე ფორვარდისა და ცენტრის პოზიციებზე ირჯებოდა. თუმცა, არც პერიმეტრიდან სროლას ერიდებოდა და 5 ცდიდან 3 კალათში მოათავსა. სულ კი ჯამში 19 ქულა მოაგროვა, რასაც ზედ 9 მოხსნა დაურთო და მცირე დააკლდა ორმაგ დუბლამდე.

ქართველები რას აკეთებდნენ? მშვენივრადაც ირჯებოდნენ. სერგო ათუაშვილი შესაშური სიზუსტით ისროდა. 222 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრმა თამაშიდან რვავე სროლა ჩააგდო, რასაც სართად ორი საჯარიმო დაუმატა და ჯამში 18 ქულა მოუგროვდა.

ლაშა ფარღალავას თამაში ისე არ წაუვიდა, როგორც ამას გულშემატკივარი ეროვნულ ჩემპიონატშია მიჩვეული. თუმცა, ეს გასაკვირიც არ არის – ევროჩელენჯი გაცილებით მაღალი დონის ტურნირია. მართალია, ფარღალავამ დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ისროლა, მაგრამ მწვრთნელმა მისი დაცვაში აგრესიული თამაში გამოარჩია.

ევროჩელენჯის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოასპარეზე "სოხუმი" – "მინსკი-2006"-ს შორის, ეს პირველი მატჩი იყო. განმეორებითი შეხვედრა 11 ოქტომბერს, ამჯერად, ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ჩატარდება. ამ წყვილს შორის გამარჯვებული ორი მატჩის საერთო შედეგის მიხედვით გაირკვევა. განმეორებით შეხვედრას "სოხუმი" პლუს 16 ქულით ხვდება. "სოხუმის" წაგების შემთხვევაში, გამარჯვებულს ორი მატჩის ჯამში გაკეთებული ბურთების შეფარდება გამოავლენს. დამატებითი დრო მხოლოდ "სოხუმის" 16 ქულით წაგების შემთხვევაში დაინიშნება.

### მატჩის შემდეგ:

**ფრენკ რობინსონი:**

– 27 ქულა მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის, თანაგუნდელებმა სათანადოდ შემიწყვეს ხელი. დღეს გუნდური თამაშის წყალობით მოვიგეთ. ასევე უნდა გავაგრძელოთ და ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაც რთული არ იქნება.

**აინარს ბაგაცკისი:**

– დღეს მნიშვნელოვანი ბრძოლა მოვიგეთ, მაგრამ ომი წინაა – ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპი ორი მატჩისგან შედგება და ახლა ბელარუსში მოგვიწევს მოედანზე საკუთარი უპირატესობის დამტკიცება. 16 ქულიანი სხვაობა დამშვიდების საფუძველს არ მაძლევს, რადგან წინ არაერთი მაგალითია, როცა გაცილებით დიდი სხვაობა ვერ შეუნარჩუნებიათ. ერთ-ერთმა უკრაინულმა გუნდმა შინ 27 ქულის სხვაობით მოიგო, დამშვიდდა და სტუმრად 29 ქულით დამარცხდა. გუნდი ჯერ სრულად არ არის დაკომპლექტებული და რამდენიმე პოზიციაზე გაძლიერებას საჭიროებს.

**ანდრეი კრივონოსი:**

– ასეთი სხვაობით არ უნდა წაგვეგო. გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა დაცვაში. თუმცა, ბელარუსში რევანშის საშუალება გვექნება. ისღა დაგვრჩენია, შეცდომები გამოვასწოროთ და დაცვა გავაძლიეროთ.

# სოსო ჭედია: ნაკრებში რთული მდგომარეობაა

**საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები 7 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მორიგ მატჩს გამართავს. ახალი მწვრთნელის, სოსო ჭედიას შეგირდები შვეიცარიელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს 3 მატჩში 3 ქულა აქვთ აღებული — მოგება სტუმრად ხორვატიის ნაკრებთან და ორი მარცხი ესპანელებთან.**

სოსო ჭედიამ მოახლოებული მატჩისთვის სასტუმრო "ზომონდ გარდენში" პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ შვეიცარიელებთან მატჩს დიდი დანაკლისით ხვდება.



სოსო ჭედია

**სოსო ჭედია:**

– ნაკრებში რთული მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავს. როდესაც შევიკრიბეთ, ბიჭებთან ვისაუბრეთ და კიდევ გვექნება სერიოზული ლაპარაკი. პირველ რიგში გვაინტერესებს თუ რა მოხდა ესპანეთთან და რატომ აჩვენა გუნდმა ასეთი ცუდი შედეგი. არ გვინდა, რომ იგივე განმეორდეს. შვეიცარიელებს სერიოზული გუნდი ჰყავთ. ისინი უკვე თბილისში არიან და ივარჯიშეს. განწყობილი არიან იმისთვის, რომ 3 ქულა წაიღონ. თუმცა, ვაპირებთ, სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიოთ, რადგან გამარჯვებისა და ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი გვაქვს.

***– კონკრეტულად რომელი ფეხბურთელები დაგაკლდებათ და მათ შემცვლელებად ვინ მიიწვიეთ?***

– ზარქუას, კაკუბავას, ჯილაურისა და ოქრიაშვილის თამაში გამოირიცხა. ორი ყვითელი ბარათი აქვს ლევან მჭედლიძეს და შვეიცარიასთან ამის გამო ვერ ითამაშებს. კვეკვესკირს აქილევსის მყესი სტკივა და გუშინ მსუბუქად ივარჯიშა. თარხნიშვილს თავზე ექვსი ნაკერი ადევს. მომავალ მატჩში კვეკვესკირისა და თარხნიშვილის თამაში ჯერ გაურკვეველია და ექიმების გადასაწყვეტია. დავიმატეთ სიხარულია, ლემონჯავა, გვალია და მეკარე შეროზია.

***– მეტოქის თაობაზე რას იტყვით?***

– ძალიან ძლიერი გუნდია. გასული ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი იყო და ესპანეთთან წააგო. შვეიცარია ძალიან სერიოზულად ემზადება.

***– როგორ შეიძლება შვეიცარიელების დამარცხება? პირველ ნომრად ითამაშებთ?***

– ალბათ, მეორე ნომრად, თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორ მდგომარეობაში ვართ. თამაშს კონტრშეტევებზე ავაგებთ. ღია ფეხბურთი რომ ვითამაშოთ, შეიძლება იგივე დაგვემართოს, რაც ესპანეთთან.

***– ყოფილი მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია ფეხბურთელების ფიზიკური მომზადებით უკმაყოფილო იყო, რაც ესპანეთთან ქუთაისში წაგებული მატჩის შემდეგ არ დაუმალავს. თქვენ თუ ხართ ამ მხრივ კმაყოფილი?***

– როდესაც სამი დღით იკრიბები, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ფეხბურთელები შეკრებაზე როგორ მდგომარეობაში ჩამოვლენ. ფიზიკური მომზადების მხრივ ნორმალური სიტუაციაა. ბიჭები ვარჯიშზე 100 პროცენტით იხარჯებიან. მთავარია დაივიწყონ, რაც ესპანეთთან მოხდა და ყველას აჩვენონ, რომ საქმე მთლად ასე ცუდად არ არის.

***– ახალგაზრდული ნაკრები თამაშს იგივე სტილში აპირებს, როგორც ეროვნული?***

– აქ იმიტომ ვართ, რომ ახალგაზრდულმა და ეროვნულმა ნაკრებებმა ერთნაირ სტილში ითამაშონ. ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომელთაც დაცვის გარდა, შეტევაც შეუძლიათ.

პრესკონფერენციაზე ჭედიასთან ერთად ახალგაზრდული ნაკრებისა და საფრანგეთის "ლე მანის" მეკარე გიორგი მაკარიძეც იმყოფებოდა.

**გიორგი მაკარიძე:**

– შვეიცარიასთან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს. ჯგუფიდან გასვლა გვინდა და ამდენად მნიშვნელოვანია შვეიცარიელებთან დადებითი შედეგი ვაჩვენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ადგილის დაკავება გაგვიჭირდება. გუნდში კარგი განწყობაა. მაგალითად, მე ესპანეთთან თამაში უკვე თითქმის დავიწყებული მაქვს.

***– ალბათ, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობთ.***

– რევიშვილი, ლორია და კვასხვაძე კარგად თამაშობენ. მთავარია, რომ კლუბში თამაშის შანსი მომეცეს და იმედია, ასეც გაგრძელდება. თუ იქ ვითამაშებ, ალბათ, ეროვნული ნაკრებიდანაც შემეხმიანებიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 7 ოქტომბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 21 საათზე დაიწყება. შეხვედრის მთავარი არბიტრი ბულგარელი ალექსანდრ კოსტადინოვია.

მომავალ თამაშზე დასასწრები ბილეთები 5 ლარი ეღირება. აღსანიშნავია, რომ საქართველო-შვეიცარიის დაპირისპირების ტრანსლირება "პირველი არხით" არ იგეგმება, რადგან ტელევიზიები ამ დღეს პოლიტიკური მოვლენებით, კერძოდ კი, 7 ოქტომბერს თბილისში საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ვიზიტის გაშუქებით იქნება დაკავებული.

# დავორ შუკერი: აღმოსავლეთ ევროპულ გუნდებს ლიგის მოგება გაუჭირდებათ

ალბათ ფეხბურთის გულშემატკივრებს არ სჭირდებათ დავორ შუკერის შეხსენება. ხორვატული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი რამდენიმე დღის წინ უკრაინაში იყო სტუმრად და იქაურ მედიას უამრავ საინტერესო თემაზე ესაუბრა. ცხადია, ვრცელი ინტერვიუს ნაცვლად, შევეცადეთ უფრო საინტრესო და მნიშვნელოვანი ფრაგმენტები მოგვეწოდებინა.

***– აქტიურ ფეხბურთს უკვე 8 წელია შეეშვით. ამჟამად რას საქმიანობთ?***

– 2000 წელს ჯერ კიდევ ფეხბურთში ვიყავი, როცა ჩემი საფეხბურთო აკადემია გავხსენი. ამ 11 წელიწადში აკადემიის ქსელი გაფართოვდა. სკოლები ბევრგან მუშაობს, ხორვატიიდან დაწყებული, ამერიკით დამთავრებული. იანვარში მორიგი სკოლის გახსნა კალგარიში მაქვს დაგეგმილი.

***– ამ დღეებში კიევს ხრისტო სტოიჩკოვი სტუმრობდა. ამბობენ, რომ თავისი სკოლის გახსნას ის ჩვენთან გეგმავს. გეგმაში ეს თქვენც ხომ არ გაქვთ?***

– შეუძლებელი არაფერია. დღევანდელ მსოფლიოში საზღვრები პრაქტიკულად აღარ არსებობს. თუკი უკრაინაში ვინმე ჩემთან თანამშრომლობას მოისურვებს, რატომაც არა?

***– ეს თქვენი ბიზნესია?***

– ეს არ არის კლასიკური ბიზნესი, ესაა საქმიანობა ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ცხოვრებაში ბევრს მივაღწიე, ახლა კი მაქვს საშუალება, რომ რაღაც გავაკეთო ხალხისთვის, ხორვატიის ნაკრებისთვის. არ მაინტერესებს რომელიმე კლუბში მუშაობა, მე მინდა მთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარება. მიზნად არც ვარსკვლავების გაზრდა მაქვს, უბრალოდ, ბავშვებს ფეხბურთის თამაშის საშუალებას ვაძლევ.

***– ხშირად ხვდებით 90-იანი წლების ხორვატიის ნაკრების წევრებს?***

– ჩვენ გვაქვს ვეტერანთა კავშირი, თუმცა ერთმანეთს იშვიათად ვხედავთ, რადგან ყველანი დაკავებულები ვართ. თანაც, ხორვატია პატარა ქვეყანაა და ჩვენი გუნდით სხვებთან თამაშებს თითქმის არ ვატარებთ. ხანდახან "რეალის" ვეტერანთა გუნდში თუ დამიძახებენ ხოლმე. ბოლოს ფეხბურთი "ბაიერნთან" ვითამაშე. ასაკის მატებასთან ერთად უფრო ხშირად მახსენდება ნაკრებიც და "რეალიც".

***– რას ფიქრობთ ხორვატიის ნაკრებში ედუარდო და სილვას თამაშზე?***

– ხორვატიის ჩემპიონატში ედუარდოს უამრავი გოლი გაჰქონდა. იმ მომენტში ნაკრებს სწორედ მისნაირი თავდამსხმელი სჭირდებოდა. თანაც ის ზაგრებში დიდი ხანი ცხოვრობდა და მეუღლეც ხორვატი ჰყავს. პირადად ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

***– ხორვატიამ უკრაინასა და პოლონეთთან ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება დათმო.***

– დიახ, ხორვატიის განაცხადის წარმდგენი მე ვიყავი. თქვენც ძალიან ძლიერი წარმომადგენლები გყავდათ – შევჩენკო და კლიჩკო. ჩვენ გვესმოდა, რომ უეფასთვის უკრაინა ბევრად პრიორიტეტული იქნებოდა. ჩემს ქვეყანაში სულ 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თქვენთან – 50. აუცილებლად გეწვევით ჩემპიონატის მიმდინარეობისას. ძალიან მინდა, რომ ხორვატიაც მოხვდეს ევროპის ჩემპიონატზე. საბერძნეთთან გადამწყვეტი შეხვედრა გველის. მოვიგებთ და პირდაპირ გავალთ ჩემპიონატზე, თუ წავაგებთ, შემდეგ პლეი ოფში მოგვიწევს ჭიდაობა.

***– როგორ ფიქრობთ, აღმოსავლეთევროპულ კლუბებს შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგის მოგება?***

– უახლოეს წლებში ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიასა და იტალიაში ფეხბურთში ფულს ყოველთვის დებდნენ. აღმოსავლეთევროპელებმა კი ამის გაკეთება ბოლო ათწლეულშიღა დავიწყეთ. სწორედ ამიტომ არის, რომ წამყვანი ქვეყნები ბევრ რამეში გვისწრებენ. მათთან კონკურენცია ამ ეტაპზე ძალიან ძნელია. სიამოვნებით ვიტყოდი, რომ ზაგრების "დინამო" ლიგას მოიგებსთქო, მაგრამ რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. იმავეს თქმა შემიძლია კიევის "დინამოზე", "შახტარსა" და მოსკოვის ცსკა-ზეც.

# ყველაზე მდიდრები საქართველოშიც ჩამოვლენ

ავტორიტეტული სპორტული ვებგვერდის ისპნ–ის ევროპულმა ვერსიამ ჩვენს კონტინენტზე მოთამაშე ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელების სია გამოაქვეყნა. მათში ორი ისეთი კალათბურთელი მოექცა, რომელიც შესაძლოა, სულ მალე თბილისში ვიხილოთ. ეს კი ნბა–ში ლოკაუტის დაწყებაზე იქნება დამოკიდებული. ეს კალათბურთელები დერონ უილიამსი და მექმეთ ოქური არიან.

ახლა მივყვეთ სიას: სათავეში მოექცა "ნიუ ჯერსი ნეტსის" კუთვნილი ვარსკვლავი გამთამაშებელი დერონ უილიამსი, რომელიც ლოკაუტის დასრულებამდე თურქეთის "ბეშიქთაშში" ითამაშებს. ერთი სეზონის სანაცვლოდ ეს კალათბურთელი 3.5 მილიონ ევროს მიიღებს. ათეულში აგრეთვე ვხედავთ დაბრუნებულ კიდევ სამ მოთამაშეს - მეჰმეთ ოქურს, რუდი ფერნანდესსა და ერსან ილიასოვას.

ევროპული ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: 1.დერონ უილიამსი (ბეშიქთაში, თურქეთი) – 3,5 მლნ; 2.მეჰმეთ ოქური (თურქ ტელეკომი, თურქეთი) – 3,4 მლნ; 3.ნენად კრსტიჩი (ცსკა, რუსეთი) – 3 მლნ; 4–5.რუდი ფერნანდესი (რეალი, ესპანეთი) – 2,7 მლნ; ერსან ილიასოვა (ეფესი, თურქეთი) – 2,7 მლნ; 6. ხუან-კარლოს ნავარო (ბარსელონა, ესპანეთი) – 2,5 მლნ; 7.ვასილის სპანულისი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი) – 2,4 მლნ; 8.დიმიტრის დიამანტიდისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი) 2 მლნ; 9.მაიკ ბატისტი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი) – 1,9 მლნ; 10.მილოშ თეოდოსიჩი (ცსკა, რუსეთი) – 1,8 მლნ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ვარეზე ........................... 0:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-დანდალკი ....................... 5:0

**აშშ. ლია თასი**

**ფინალი**

სიეტლი-ჩიკაგო ............................ 2:0

**კალათბურთი**

**ევროთასი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

სპარტაკი(პბ)-ენკომი ................ 83:64
დექსია-ბეშიქთაში ...................... 74:63
ცედევიტა-შალონი ..................... 84:69
ლე მანი-პინარი ........................ 80:78
გრან კანარია-ერტლანდი ........ 92:65

***მარკიზ ჰეინესი: 12 ქულა***

**ევროჩელენჯი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

სპარტაკი(პრ)-ენისეი ............... 75:58
სოხუმი-მინსკი .......................... 94:78
ტრიუმფი-კრ.კრილია .............. 94:71
ატომერომუ-ტრაიკირჰენი ....... 70:48
პიურინტე-შოლნოკი ................ 77:69

**ჩოგბურთი**

**ატპ. პეკინი. ჰარდი**

ვერდასკო-ჩიპოლა ........... 2:6;6:1;6:2
ლოპესი-იუჟნი .................. 7:6;2:6;5:7
ლუბიჩიჩი-მაიერი ............. 6:0;2:6;6:3
ბერდიხი-კოლშრაიბერი ........ 6:2;6:0

**ატპ. ტოკიო. ჰარდი**

ტიპსარევიჩი-ტურსუნოვი .. 6;7;7;6;5:7
მიურეი-ბაგდატისი ........... 7:6;2:6;6:4
ფიში-გულბისი ..................... 6:2;6:4

**ვტა. პეკინი. ჰარდი**

აზარენკო-ჰერცოგი ................ 7:6;6:3
სჰეპრესი-ნიკულესკუ ............ 2:6;1:6
რადვანსკა!ს.-ჩჟენი ................. 6:1;6:4
ზვონარევა-ივანოვიჩი ............ 2:6;1:6

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

შედით საიტზე atb.ge

# ტერაქტმა სომალიში ათობით ადამიანი იმსხვერპლა

სომალის დედაქალაქ მოგადიშოში, სამთავრობო შენობასთან მომხდარი აფეთქების შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა.




თვითმხილველების თქმით, ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული სატვირთო მანქანა მძღოლმა სამთავრობო კომპლექსის კარიბჭისაკენ მიმართა და ააფეთქა. აფეთქება ძალიან მძლავრი იყო.

კომპლესის მთავარი შენობა მთლიანად დაინგრა.

თვითმხილველების თქმით, აფეთქების ადგილას იწვის მანქანები, ქუჩებში დაღუპულთა გვამებია მიმოფანტული, ჯარისკაცები უწესრიგოდ ისროდნენ ჰაერში.

მოკლულთა და დაშავებულთა შორის არიან სტუდენტები, რომლებიც განათლების სამინისტროში გამოცდების ჩასაბარებლად მივიდნენ, თურქეთში სასწავლებლად სტიპენდიის მოსაპოვებლად.

აფეთქების პასუხისმგებლობა ისლამური დაჯგუფება ალ-შაბაბის წარმომადგენლებმა იტვირთეს. ამ ორგანიზაციას ალ კაიდას უკავშირებენ.

აფეთქების მომენტში კომპლესის მთავარ შენობაში გარდამავალი მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა. Gგაურკვეველია, დაზარალდნენ თუ არა აფეთქების შედეგად მისი წევრები.

აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა აფეთქებას მეტად სერიოზული უწოდა. აფრიკის კავშირის სამშვიდობო ძალები სომალიში არიან განთავსებული.

1991 წლის შემდეგ სომალიში ცენტრალიზებული მთავრობა არ არსებობს. სუსტი გარდამავალი მთავრობა გაეროს მხარდაჭერით ისლამური დაჯგუფებების წინააღმდეგ გამოსვლას ცდილობს.

ალ-შაბაბი სომალის ცენრალური და სამხრეთ რაიონების უმეტეს ნაწილს აკონტროლებს. Aამ დაჯგუფებამ მოგადიშო ორი თვის წინ დატოვა, მაგრამ გასულ კვირას კენიის საზღვართან ორი ქალაქის დაკავება სცადა. ეს მცდელობა სამთავრობო ჯარებმა აღკვეთეს.

სომალიში პოლიტიკურ არასტაბილურობას გვალვაც ემატება, რომლის მსგავსი 60 წელია არ ახსოვთ. სტიქიური უბედურების შედეგად ათეულ ათასობით სომალელმა მშობლიური ადგილები დატოვა და დედაქალაქს მიაშურა, სადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიღება არის შესაძლებელი.

გაერომ ოფიციალურად განაცხადა, რომ გვალვის შედეგად სომალის ექვსი რაიონია დაზარალებული, სადაც მოსახლეობა შიმშილობს.

# ჩინეთი კეთრის დამარცხებას ცდილობს

ჩინეთის ხელისუფლებმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი დაავადების, კეთრის წინააღმდეგ ბრძოლის ათწლიანი გეგმა მიიღეს. ქვეყნის მთავრობას დაავადებულთა რიცხვის ორჯერ შემცირება სურს. 2015 წლისათვის დაავადებულთა რიცხვმა 10 ათას ადამიანზე ერთ შემთხვევას უნდა მიაღწიოს, კიდევ ხუთი წლის შემდეგ – 100 ათასზე ერთს.

ჩინეთის ხელისუფლების თქმით, ყოველწლიურად ჩინეთში კეთრით დაავადების 1700 ფაქტი ფიქსირდება. Yყველაზე სერიოზული მდგომარეობაა სიჩუანის, იუნანის, გუიჯოუს და ჰუნანის პროვინციებში, აგრეთვე – ტიბეტის ავტონომიურ რაიონში.

კეთრი უძველესი დაავადებაა. იგი დეტალურად ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინ იყო აღწერილი ეგვიპტესა და ჩინეთში. დაავადება შიშის ზარს სცემდა ყველას. თანამედროვე მედიკოსების აზრით, კეთრი კეთრი ქრონიკული ინფექციური დაავადებაა, რომლებიც ჩხირისმაგვარი მიკროორგანიზმებით, მიკრობაქტერიუმ ლეპრაით არის გამოწვეული.

ინკუბაციური პერიოდი 2-დან 20 წელს შეიძლება აღწევდეს, უმეტეს შემთხვევაში პირველი სიმპტომები 3-10 წლის განმავლობაში ვლინდება. ცნობილია კეთრის ორი სახესხვაობა, ერთი კანს აზიანებს, მეორე – ნერვებს.

გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, კეთრი მსუბუქი კონტაქტით არ გადაეცემა და დასნებოვნებისათვის ხანგრძლივი კონტაქტი პირდაპირი არის საჭირო. თუმცა, ზოგიერთი ექიმის ვარაუდით, კეთრი ჰაერ-წვეთოვანი გზითაც გადაეცემა.

დაავადების გამომწვევთან კონტაქტის შემდეგ ავადდება ადამიანების 5-10 პროცენტი, დანარჩენების იმუნიტეტი ამ დაავადებას ეწინააღმდეგება.

კეთრი მასობრივ დაავადებებს არ განეკუთვნება, თუმცა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში კეთრით 11 მილიონამდე ადამიანია ავად, მათ შორის მამაკაცების რიცხვი ქალების რიცხვს სამჯერ აღემატება.

დღეისათვის დაავადება გავრცელებულია აფრიკასა და აზიაში, განსაკუთრებით ინდოეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში, კორეაში, იაპონიასა და ფილიპინებზე, აგრეთვე ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

2010 წლის იანვარში ნეპალის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე კეთრი აღარ არსებობს. ნეპალის ჯანდაცვის სამნინისტროს მონაცემებით კეთრით დაავადებულთა რიცხვი 10 ადამიანზე ერთ შემთხვევაზე ნაკლებს შეადგენს, რაც დაავადების ლიკვიდაციის კრიტერიუმებს შეესაბამება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## განცხადება

ნოტარიუსი ნათელა გაგაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, ქ.წამებულის ქ.№69-ში, პირველ სართულზე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1975 წლის 31 ოქტომბერს გარდაცვლილი ალექსი რუდკოვის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე, კერძოდ, უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ სახლზე, თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით, მდებარე: ქ.თბილისი, საბარგოს დას. არველაძის ქ.№27-ში.

მემკვიდრეებს, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებაზე და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ითვლებიან 31.10.1975 წ. გარდაცვლილი ალექსი რუდკოვის მემკვიდრეებად, გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს ნათელა გაგაძეს, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: ქ.წამებულის ქ.№69-ში, პირველ სართულზე.

*პატივისცემით, ნოტარიუსი ნათელა გაგაძე*

# დღეს რუსეთთან ომი მოსალოდნელი არ არის

*შორენა გონგლაძე*

**ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან**

***– ბატონო გულბაათ, როგორ ფიქრობთ, რა არის საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტის მთავარი მიზანი?***

– სარკოზის პრეზიდენტობის პირობებში საფრანგეთი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, თუმცა თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, სარკოზის საგარეო პოლიტიკაში შეერთებულ შტატებთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობას ცენტრალური ადგილი უკავია. საფრანგეთი ცდილობს, თავისი ინტერესების რეალიზება არა შეერთებული შტატებისა და ნატოსგან დისტანცირებით, არამედ მათთან ახლო ურთიერთქმედების გზით მოახდინოს. მეტიც, სარკოზის საფრანგეთის ქმედებები მიმართულია იმისკენ, რომ დასავლეთის ლიდერად გამოაჩინოს თავი. სწორედ ამგვარი მცდელობის გამოხატულება იყო ლიბიის საწინააღმდეგო კოალიციის ინიცირება. საფრანგეთის ინტერესები კავკასიაში საერთოდ ევროპული და ატლანტიკური ინტერესების იდენტურია. ამ მხრივ შეიძლება, სარკოზის კავკასიური ვიზიტის მთავარი მიზანი ავხსნათ რეგიონში ევროკავშირის პოზიციების გაძლიერების სურვილით, განსაკუთრებით, ევროკავშირის მიერ პოლიტიკურად მხარდაჭერილი "ნაბუკოს" გაზსადენის პროექტთან დაკავშირებით. თუმცა სარკოზი თავის პირად იმიჯზეც ზრუნავს, მოახლოებული არჩევნების წინ დ მას სურს, ფრანგი ამომრჩევლების წინაშე თავი მსოფლიოში გავლენიან პოლიტიკოსად წარმოაჩინოს, რომელიც თავის დროზე "მხსნელად" მოევლინა საქართველოს და ლიბიას, რომელიც საფრანგეთის პოზიციებს აქტიურად წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე. თუ დააკვირდით ტრიპოლიდან გავრცელებულ ტელეკადრებს, როდესაც შაჰიდების მოედანზე ხალხი შეყარეს კადაფის გაქცევით გამოწვეული სიხარულის გამოსახატად, მოედანზე სწორედ საფრანგეთის უზარმაზარი დროშა გაშალეს. მსგავსი აქცია იგეგმება თბილისში, როდესაც აქაც შეყრიან ხალხს ვითომ აღფრთოვანების გამოსახატად. ეს ყველაფერი სარკოზის იმიჯზე იმუშავებს, მაგრამ რეალურად საფრანგეთს ნაკლებად ადარდებს სხვა ქვეყნების ბედი, იგი საქართველოს ისევე განიხილავს "თეთრ აფრიკად", როგორც ლიბიას და მით უმეტეს, თავის ყოფილ კოლონიებს აფრიკის კონტინენტზე.


გულბაათ რცხილაძე

***– ეს ხომ არ ნიშნავს სააკაშვილის მიმართ ევროპის მხრიდან უპირობო მხარდაჭერას, თუ გავითვალისწინებთ მოახლოებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს?***

– სააკაშვილისადმი მხარდაჭერის გამოსახატად ეს ვიზიტი აუცილებელი არ იყო. თუმცა საიდუმლო არ არის, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე საქართველო დღეს სააკაშვილისგან თავისუფალი იქნებოდა.

***– სააკაშვილმა საფრანგეთის მიერ რუსეთზე მისტრალის მიყიდვის გამო სარკოზის მექრთამე უწოდა და ამ დროს სარკოზი სააკაშვილის იმიჯის გამყარებაზე ზრუნავს?***

– ეს ინტერპრეტაციის საქმეა, პირადაპირ ასე არ თქმულა. თუმცა სარკოზი რომ ნამდვილად მექრთამეა, მუამარ კადაფიმაც განაცხადა, საკმაოდ კონკრეტულად და დამაჯერებლად. საერთოდ, სარკოზი არ არის ის პიროვნება, ვისთვისაც პირადი ღირსება მთავარი ფასეულობაა. ასეთივე მასპინძელი ელოდება მას თბილისში, ამიტომ ისინი ერთმანეთს კარგად უგებენ.

***–ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლოა დახურულ შეხვედრაზე საუბარი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო განიზაციაში გაწევრიანების საკითხსაც შეეხოს, სარკოზი კიდევ ერთხელ გამოდის საქართველო-რუსეთს შორის მედიატორის როლში?***

– შეიძლება, ორი სიტყვით ითქვას ამ თემაზე რამე, მაგრამ ძირითადი აქცენტი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე არ გაკეთდება.

***– საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზებისათვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს...***

– ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...

***– ქართული და რუსული მხარის მოლაპარაკებები რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, პოზიტივისკენ ერთი ნაბიჯითაც კი არ წაწეულა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში არსებობს თუ არა იმისი ალბათობა, რომ რუსეთი საქართველოს თანხმობის გარეშე გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციაში?***

– რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს საკითხის გამო სულაც არ ფერხდება. ჯერ სხვა საორგანიზაციო საკითხებია მოსაგვარებელი. რუსეთის ეკონომიკის მინისტრმა აღიარა ამას წინათ, რომ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მიმდინარე წლის ბოლომდე არ დასრულდება. ამ მოლაპარაკებებში საქართველო სულაც არ იყო ნაგულისხმევი. საქართველო ყველაზე მცირე პრობლემაა რუსეთისთვის. თუკი დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ დადგა დრო, როდესაც რუსეთს მწვანე შუქი უნდა აუნთონ, სააკაშვილს მაშინვე გამოაცხადებინებენ კაპიტულაციას. მით უმეტეს, არანაირი ეკონომიკური არგუმენტი საქართველოს ამ დავაში არ გააჩნია. საქართველომ მოახდინა საკითხის პოლიტიზაცია, ამას კი სავაჭრო სფეროში არ მიესალმებიან.

***–რამდენიმე ხნის წინ რუსეთის დუმაში საუბარი იყო საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შესაძლებლობაზე, რეალურად თუ არის ამის საშიშროება და რამ გააღიზიანა რუსეთი?***

– ცალკეულ დეპუტატებს შეუძლიათ მსგავსი განცხადებების გაკეთება, მაგრამ დღეს არ არსებობს შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების საფუძველი, ამიტომ ეს განცხადებები საფუძველს მოკლებულია.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ამერიკული, ტანკსაწინააღმდეგო, რეაქტიული ჭურვის სასროლი ინდივიდუალური იარაღი; 3. რაიმე ადგილის, მინდვრის, ტყის საერთო ხედი; 4. პოემა "სტუმარ-მასპინძელის" პერსონაჟი; 5. დიდი სარეკლამო პლაკატი; 7. არგენტინის ნაკრებისა და "ბარსელონას" ფეხბურთელი; 11. პარიზის ძველი სახელწოდება; 12. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 13. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულება დგინდება მტკიცების გზით; 15. მდინარე ბერლინში; 16. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 18. ერთწლიანი, ბალახოვანი პარკოსანი მცენარე; 19. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ბრილიანტის ერთ-ერთი გვერდი; 9. ტკბილი, შავი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14, საფარიკაო სპორტული იარაღი; 17. დედამიწის ყველაზე ცხელი ბუნებრივი ზონა; 20. სეირნობა სუფთა ჰაერზე, ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 22. შტატი აშშ-ში; 23. კინოცენტრი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პლაზმა; 2. "ლონდრე"; 3. მუშტაიდი; 4. დივანი; 6. "მანიკური"; 8. მდოგვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. "ლაკმე"; 17. კლოზე; 18. სიგმა.

**თარაზულად**: 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. გურალია; 9. ზუგდიდი; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. ყომარი; 15. კოლი; 19. პარხალი; 20. კლინტონი; 21. "ჰეინიკენი"; 22. მახათა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ასპინძა; 2. კომუნა; 3. ნობელიუმი; 4. მონაკო. 5. ჰელსინკი; 7. აურა; 11. "სალხინო"; 13. კაჭკაჭი; 15. ფერმი; 16. მოძმე; 18. ნიკეა; 19. ლარნი.

**თარაზულად**: 6. სედანი; 8. პორთოსი; 9. ჯინჯილა; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. ბორანო; 17. "მაჭანკალი"; 20. ბაირონი; 21. უმანკო; 22. ელინგი; 23. ხელბურთი.

# ნიკა მემანიშვილმა გვარზე უარი თქვა

ეკა ირემაშვილი

დირიჟორმა ნიკა მემანიშვილმა თავის გვარზე უარი თქვა და სოციალურ ქსელში „ფეისბუქი" ასეთი სიახლე გამოაქვეყნა – „ძვირფასო მეგობრებო, გატყობინებთ ჩემს გადაწყვეტილებას: ამიერიდან საქართველოს საზღვრებს გარეთ აფიშებზე, აუდიოვიდეო ალბომებზე და საჯარო გამოსვლებზე, ჩემი სახელი განისაზღვრება შემდეგნაირად: ნიკოლოზ რაჭველი. ეს არის ჩემი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულება ჩემი მშობლიური კუთხის მიმართ. მე მინდა, ყველა ჩემი შემოქმედებითი ნაბიჯი (წარმატების შემთხვევაში) ასოცირდებოდეს საქართველოს ულამაზეს კუთხესთან - რაჭასთან!!! იმედია, არ დამძრახავთ (განსაკუთრებით მემანიშვილები), მე ყოველთვის ვრჩები ჩემი საგვარეულოს ერთგულ წარმომადგენლად და ჩემი ღირსეული წინაპრების დიდ პატივისმცემლად."



ნიკა მემანიშვილის ამ განცხადებამდე, საზოგადოება შოკში ჩააგდო მწერლისა და პოეტის დავით-დეფი გოგიბედაშვილის განცხადებამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი გვარი გოგიბედაშვილი უცხოელებისთვის ძნელი წარმოსათქმელია, ამიტომ უარს ამბობს საკუთარ გვარზე და ლიტერატურაში მხოლოდ დავით-დეფიდ რჩება.

როგორც ჩანს, დეფის რიგებს შეუერთდა ნიკა მემანიშვილიც, თუმცა მას თავის გვარზე უარის თქმის მიზეზად მისი რთულად წარმოსათქმელობა არ დაუსახელებია. არც ის დაუკონკრეტებია, რა გახდა საკუთარ გვარზე უარის თქმის რეალური მიზეზი. მას უბრალოდ უნდა, თავისი სიყვარული და პატივისცემა მშობლიური კუთხის – რაჭისადმი სწორედ ამ ფორმით გამოხატოს.

ნიკა მემანიშვილის ახლა უკვე ნიკოლოზ რაჭველის ეს საჯარო განცხადება ფეისბუქის ასობით მომხმარებელმა მოიწონა. რა რეაქცია აქვთ მემანიშვილებს მათი გვარის ცნობილი წარმომადგენლის ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ფაქტი ერთია – ამიერიდან ნიკა მემანიშვილის ახალ სახელსა და გვარს – ნიკოლოზ რაჭველს ყველანი უნდა შევეჩვიოთ.

# თბილისში ქართული ხელოვნების საღამოები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

თბილისში ოქტომბრიდან მაისის ბოლომდე „ქართული ხელოვნების საღამოები" ჩატარდება. მაყურებელსა და მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა, მთელი წლის განმავლობაში, ყოველი კვირის ბოლოს, ქართველ ხელოვანებს შეხვდეს.

ამ სიახლესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის სამინისტროს არტ კაფეში პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც პროგრამაში მონაწილე

ანსამბლების წევრები, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 9 ოქტომბრიდან იწყებს ახალ პროგრამას სახელწოდებით ,,ქართული ხელოვნების საღამოები". პროგრამის ფარგლებში ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით (2011 -2012 წლები), ყოველ კვირას, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტების სერია გაიმართება, – ითქვა პროექტის პრეზენტაციაზე.

პროექტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლები ,,რუსთავი", ,,ერისიონი", ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები", ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი, ფოლკლორის ეროვნული ცენტრი ახალი პროგრამით, ანსამბლები ,,მართვე" ,,ქართული ხმები", ნიაზ დიასამიძე და 33ა და „ზუმბალენდი".

– საქართველოს მოქალაქეების მუდმივი ინტერესის, ტურისტების დიდი რაოდენობის, ოფიციალური დელეგაციების ხშირი სტუმრობის გათვალისწინებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იწყებს აღნიშნულ პროექტს „ქართული ხელოვნების საღამოები". კულტურის სამინისტროს პროგრამა ხორციელდება თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან ერთად. მაყურებელსა და მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა ყოველ კვირას (მთელი წლის განმავლობაში) შეხვდეს ქართველ ხელოვანებს, – განაცხადა ახალი პროგრამის პრეზენტაციაზე კულტურის მინისტრმა.

ქართული ხელოვნების საღამოებს დიდ საკონცერტო დარბაზში 9 ოქტომბერს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი" გახსნის, მას კი ანსამბლი „მართვე" შეენაცვლება, რომელსაც მოყვება ზუმბას კონცერტი. ახალ წლამდე დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტებს ჩაატარებენ ნიაზ დიასამიძე, ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი, ანსამბლ „ქართულ ხმებთან" ერთად, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი". მომავალი წლიდან კი მათ რიგებს შეუერთდებიან „ქართული ხმები" და ფოლკლორის ცენტრი ახალი პროგრამით.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– დღეს მოხდა ამ პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც სიმბოლურად ვუწოდეთ „ქართული ხელოვნების საღამოები". ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით, ყოველი კვირის ბოლოს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასისა და ქართული ფოლკლორის საღამოები. ეს პროექტი დაიწყება 9 ოქტომბერს და გაგრძელდება მაისის ბოლომდე. ყოველ პარასკევს საზოგადოებას საშუალება მიეცემა თავისი საყვარელი ანსამბლების თუ მომღერლების კონცერტებს დაესწროს. მასში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო შემოქმედებითი დასები. იმის მიუხედავად, რომ ასეთი ანსამბლები არსებობენ საქართველოში, ჩვენს თანამოქალაქეებს, სტუმრებს თუ ინვესტორებს უჭირთ კვირის განმავლობაში მათ კონცერტებზე დასწრება, რადგან მსგავსი კონცერტები მიმოფანტულად იმართება. ჩვენი პროექტით წერტილი დაესმება გაფანტულობას და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტები ყოველ პარასკევს ჩატარდება. ეს არის ერთგვარი საპილოტე დრო ამ პროექტისა და ჩვენ გამოვცდით ამ პროექტის ეფექტურობას. მომავალი გვიჩვენებს, როგორ განვავითაროთ ჩვენი ჩანაფიქრი და საერთოდ, გავაგრძელოთ თუ არა.

***– რა დაუჯდებათ ანსამბლებს ამ კონცერტების გამართვა?***

– "ქართული ხელოვნების საღამოები" ფინანსური დანახარჯების გარეშე ჩატარდება, ანსამბლები კონცერტს იმ ფინანსებით გამართავენ, რომელსაც ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ. ჩვენ ,,ქართული ხელოვნების საღამოების" გრაფიკი უკვე შედგენილი გვაქვს და ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისთვის.

**ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელი:**

– ძალიან კარგი წამოწყებაა. ხალხმა უნდა იაროს მსგავს კონცერტებზე, რომ უკეთესად გაეცნოს თავისი ქვეყნის კულტურას. ხალხი შეადარებს მათ შესაძლებლობებს. ამ კონცერტებში სამი აკადემიური ანსამბლი მონაწილეობს – სუხიშვილები, რუსთავი და ერისიონი. მაყურებლისთვის საინტერესო იქნება ამ ღონისძიებებზე სიარული და მჯერა, რომ მაისის ბოლომდე "ქართული ხელოვნების საღამოებს" მაყურებელი არ მოაკლდება.

**ჯემალ ჭკუასელი, ანსამბლ "ერისიონის" ხელმძღვანელი:**

– მივესალმები კულტურის სამინისტროს ახალ პროგრამას. გვიხარია, რომ "ქართული ხელოვნების საღამოებს" სწორედ ჩვენი ანსამბლი "ერისიონი" 9 ოქტომბერს გახსნის. ქართველმა ხალხმა პირველ რიგში ის უნდა იცოდეს, თავისი რაც არის და უკვე შემდეგ უნდა გაეცნოს უცხოეთის კულტურას. ასეთი კონცერტები კი ჩვენთვისაც კარგია – უფრო კარგად გავიგებთ მაყურებლის აზრს, ზოგი გაგვაკრიტიკებს, ზოგი ნამუშევარს მოგვიწონებს, ზოგიც უბრალოდ მიგვითითებს, რა არის გამოსასწორებელი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდება ჩვენს მაყურებელთან და ზედმიწევნით გვეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ და სად რა გამოვასწოროთ.

# საუკეთესო სიმღერის ავტორები დააჯილდოვეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დაბადების დღეზე კი ჩარგალს სუხიშვილები ესტუმრნენ და ვაჟას შთამომავლებთან ერთად ღონისძიება "საჩუქარი ვაჟას" გამართეს.

მთის არწივად წოდებული ქართველი პოეტის იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებები მიეძღვნა სრულიად საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა, რომელიც თსუ-ის მუზეუმისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო. ექსპოზიციაზე მუზეუმში დაცული მწერლისადმი მიძღვნილი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები იქნა წარმოდგენილი. სახვითი ხელოვნების აღნიშნული ნიმუშები მხატვრებმა და მოქანდაკეებმა უნივერსიტეტს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავზე უანგაროდ უსახსოვრეს. განახლებული და აღდგენილი კოლექცია საზოგადოების წინაშე პირველად გამოიფინა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოფენის პარალელურად მწერლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი სახელწოდებით "მითოსური აზროვნება – ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება" ჩატარდა. სიმპოზიუმის სამუშაო სექციების მრავალფეროვანი თემატიკა ლიტერატურათმცოდნეობის ყველა სფეროს მოიცავდა. ღონისძიებას სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასმა" უმასპინძლა. სამეცნიერო სიმპოზიუმი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა გახსნა. მან თავის სიტყვაში ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა ფშაველს მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ეს სიმპოზიუმი საინტერესოა არა მარტო ვაჟა- ფშაველას მკვლევართათვის, არამედ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვისაც. 4 დღიანი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების მიზანს დიდი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას პოპულარიზაცია, სამეცნიერო კვლევა და კვლევების შედეგების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენდა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ამირან არაბულის წიგნის "ვაჟკაცობისას ამბობენ" პრეზენტაცია, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, სიმპოზიუმის უცხოელი მონაწილეებისათვის კი თბილისსა და მცხეთაში ექსკურსიები გაიმართა. სიმპოზიუმს მსოფლიოს 18 ქვეყნის 134 მონაწილე დაესწრო. მათთან ერთად ამ სიმპოზიუმში ჩართული იყვნენ საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული თანამემამულე ქართველოლოგებიც. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, რუმინეთის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წამყვანი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თემატური საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა და იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტმა განახორციელა. სიმპოზიუმის საზეიმო დახურვა კი ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში გაიმართა.

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ჰამლეტ, ნუგზარ, დარეჯან ონიანები ოჯახებით და ძმები გრიშა და კარლო ონიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა დომენტის ასული ონიანი**

პანაშვიდი: 7 ოქტომბერს, თბილი, დიდი დიღომი, ი.პეტრიწის 1/39, 8 ოქტომბერს, თბილისი, ლუბლიანას ქ. "სვანური კოშკი", 16 საათიდან.

დაკრძალვა: 9 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. "სვანური კოშკი".



**კობა ქობალიას გახსენება**

*თე ქიანას რინა მოკოდ,*
*მარა ქარწყეთ ჭიჭე ბძირი,*
*ქირქეს გინოლაფირ ვორექ,*
*ცხოვრებაშე გურიჭვილი..."*

შენი ტრაგიკული გარდაცვალებიდან 3 წელი ხდება 7 ოქტომბერს. შენი ხმისა და სიცილის, თბილი თვალებისა და მზერის გარეშე. შენი გულდათუთქული მშობლები, დები, მეუღლე, შვილი ომო, დეიდები, დისშვილები და ახლო ნათესავები კვლავაც მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთელს, ცრემლით დაგინამავთ საფლავს და ვილოცებთ შენი სულისთვის... ღმერთმა ნათელში გამყოფოს სითბოსა და სიკეთისთვის დაბადებულო ძმაო, კობა!



**მეგობრის გახსენება**

შემოდგომა, ოქტომბრის თვე უყვარდა, განსაკუთრებით სიხარულს, სიყვარულსა და დიდ სითბოს გრძნობდა წლის ამ დროს. დადიოდა ჩვენთან ერთად თბილისში, ქართულ მიწასთან შეხება რაღაც ამოუცნობ გრძნობას უღვიძებდა. ეს გრძნობა კი ქართული მიწის, თავისი უსაყვარლესი ქალაქის უზომო სიყვარული იყო, რომელსაც ის ყოველდღიურად ამტკიცებდა. დადიოდა წელგამართული. წლევანდელ შემოდგომას მარტინ (ჩილიკას ბიჭის) გარეშე ხვდებიან მისი ახლობლები და მეგობრები. მის საფლავზე ყვავილებისა და სიყვარულის თაიგულებით ამკობენ მას და დიდი ტკივილით ტოვებენ იქაურობას.

ბორის ირაკლის ძე კაკუბავა სამძიმარს უცხადებს ზაირა ნაყოფიას, გოჩა და გელა გვაზავებს მეუღლისა და მამის

**თამაზ გვაზავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 6 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **18.00** მედინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.00** დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"მარგო ქორწილში"** (18) (ნ. კიდმანი) **02.40** მოამბე **03.00** არენა **04.00** მხ. ფილმი **"უნივერსიტეტელი ლურჯები"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერიალი **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ჩემი სიკვდილის შემდეგ"** **02.00** მხ. ფილმი **"პრესიდიო"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** მე-8ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერიალი **"ქალის სიტყვა"** 1-ლი ს. **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-9ს. **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მუს. ლიგა (გან.) **01.20** რემონტი **01.50** მხ. ფილმი **"კომანდო"** (15) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-11ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50, 19.35** სერიალი **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"წკიპურტები"** **13.30** კონცერტი – ანს. "ფესვები" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ოქროს ობობა"** მე-3ს. **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"აურზაური სალხინეთში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.20** დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძ. **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ანდრის რიე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15–16, ღამით — 7–11

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16–20, ღამით — 9–12

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15–18, ღამით — -1–10







## გაზეთ „ახალი თაობის“

## 3 ოქტომბრის ნომერთან ერთად ი ყ ი დ ე ბ ა

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მეორე ტომი



მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:

1. **გიორგი მერჩულე** — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
2. **გიორგი მთაწმიდელი** — იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება
3. **ბორენა დედოფალი**
4. **დავით აღმაშენებელი** — გალობანი სინანულისანი
5. **არსენ იყალთოელი** — დავით აღმაშენებლის ეპიტაფია
6. **არსენ იყალთოელი** — ძეგლისწერა
7. **უცნობი ავტორი** — ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
8. **დიმიტრი მეფე** — ღმრთისმშობლისა
9. **დიმიტრი მეფე** — შიო მღვიმელისა

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


## გოგია გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს

**გეხსომებათ, თემურ ქეცბაიამ თავისი პრესკონფერენციისას ნათლად აღნიშნა, რომ 19 წლის ქართველ ნახევარმცველ ალექს გოგიას ოჯახს ვესაუბრეთ და დიდი შანსია მან ჩვენს ნაკრებში ითამაშოს, მხოლოდ ამ პროცესს გარკვეული დრო სჭირდება. ამასობაში კი გოგია გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. გერმანელი ახალგაზრდები 5 ოქტომბერს იტალიას, 9-ში კი შვეიცარიას ეთამაშებიან.**



თუმცა, ეს პრობლემა არ არის. საქმე ის არის, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელსაც ეროვნული გუნდის მაისური არ აქვს მორგებული, შეუძლია სხვა ქვეყნის ნაკრებში ითამაშოს. ამ დროს ფიფა ყურადღებას არ აქცევს, ფეხბურთელს აქვს თუ არა რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში ნათამაშები. სწორედ ამიტომ, გოგიას საქართველოში დაბრუნების შანსი ჯერ არ დაკარგულა.

არადა, ნათელია, რომ ფეხბურთელს, რომელსაც გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში უძახიან, ნიჭი და ტალანტი არ ეკლება, ასეთი ფეხბურთელები კი საქართველოს ნამდვილად არ ჰყავს.

მ. ჟ.

## ტესტი

## ადვილად უახლოვდებით თუ არა ადამიანებს



**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ: დიახ 0, არა 1, არ ვიცი 2.**

1. თავისუფლება და ბევრი მეგობარი — აი, ჩემი ძირითადი ლოზუნგი.
2. შემიძლია ვინმე შევიყვარო და სწრაფად დავივიწყო.
3. ბევრი კონტაქტი მაქვს ადამიანებთან და ვინც არ მჭირდება, შემიძლია დავივიწყო.
4. არ მესმის ადამიანებისა, ვისაც სხვებთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ.
5. მიმაჩნია, რომ ადამიანები უფრო მე მეჩვევიან, ვიდრე მე მათ.
6. მიყვარს და მაქვს ახლო კონტაქტები, მაგრამ არავითარ პასუხისმგებლობას არ ვგრძნობ.
7. არიან ადამიანები, ვისაც მრავალი წელია ვიცნობ, მაგრამ ამის მიუხედავად, არ ვეჩვევი მათ.
8. მეშინია მივეჩვიო ადამიანებს, რადგან ეს ინდივიდუალობას მაკარგვინებს.
9. შემიძლია ნებისმიერ მომენტში გავემგზავრო ქვეყნის დასალიერში.

### პასუხები

**0-6 ქულა:** ადამიანებთან ახლო ურთიერთობა თქვენთვის ციხის ტოლფასია, გსურთ აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყოთ

**7-12 ქულა:** ადამიანებთან ახლო ურთიერთობა და მიჩვევა თქვენთვის ჩვეულებრივ მდგომარეობას წარმოადგენს.

**13-18 ქულა:** ადამიანებთან გულითადი ურთიერთობა თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ურთიერთობით სულდგმულობთ, იღებთ სასიცოცხლო ენერგიას და გასცემთ მას. ერთხელ შერჩეულ მეგობართან ბოლომდე დარჩებით.

გ. თ.

## იუმორი



ჰოლივუდის ვარსკვლავს ეკითხებიან:

— მზარეული რატომ გააგდეთ?

— შესანიშნავად ამზადებდა, მაგრამ ყველას ეუბნებოდა, რომ ჩემთან უკვე 40 წელია მუშაობს...

* * *

ფსიქოთერაპევტთან.

— ექიმო, მიშველეთ, ყოველ ღამე მეჩვენება, თითქოს თბილისიდან ქუთაისამდე სარკინიგზო შემადგენლობას მივათრევ, ქანცგაწყვეტილს მეღვიძება, საწოლიდან წამოდგომაც კი მიჭირს,

— თქვენც ადექით და მთელი მატარებელი კი არა, მხოლოდ ერთი ვაგონი გაათრიეთ, თანაც ქუთაისამდე კი არა, მცხეთამდე.

ერთი კვირის შემდეგ.

— ექიმო, მიშველეთ, მესიზმრება, თითქოს ყოველ ღამე 30 ქალი მყავს, მეტი აღარ შემიძლია, დილით მკვდარი ვიღვიძებ.

— დამშვიდდით, თქვენც მხოლოდ ათ ქალზე დაიხარჯეთ, ნაკლებად დაიღლებით.

— ათის ნაცვლად ხუთი არ შეიძლება, თორემ მცხეთამდე ერთი ვაგონიც მაქვს გადასათრევი.

გ. თ.

## შეყვარებული ვამპირი ყველაზე სექსუალურ მამაკაცად მიიჩნიეს

ბრიტანული ჟურნალის “გლამურის” ნოემბრის ნომერში მსოფლიოს 50 ყველაზე სექსუალური მამაკაცის რეიტინგი გამოქვეყნდა. ეს რეიტინგი ამ ჟურნალის მკითხველი ქალების გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეადგინეს.

ზედიზედ მესამედ ყოველწლიურ რეიტინგს სა-



თავეში მსაიხობი რობერტ პატისონი ჩაუდგა, სერიალში “ბინდბუნდი” ვამპირ ედვარდ კელენის როლის შემსრულებელი.

პატისონი ფართო მაყურებელმა ფილმში “ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი” იხილა, სადაც მან სედრიკ დიგორის როლი შეასრულა. Mხმის შემდეგ მსახიობმა ამპლუა შეიცვალა — ამჟამად იგი ქალების გულთამყპრობელი ვამპირია, რომლის სიყვარულიც ვამპირებისათვის ჩვეულ სისხლის წყურვილზე უფრო ძლიერი გამოდგა.

როგორც ჩანს, ქალების გულს მისტიკური პერსონაჟები იზიდავენ. რეიტინგის მეორე ადგილზე ამერიკელი მსახიობი ტეილორ ლოტნერი აღმოჩნდა, რომელიც იგივე “ბინდბუნდში” ინდიელის და მაქციის, ჯეიკობ ბლეკის როლს ასრულებს.

პირველ ხუთეულში მოხვდნენ ჯონი დეპი, თავისი კაპიტან ჯეკი ბეღურათი, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და მომღერალი ზაკ ეფრონი.

სექსუალური მამკაცების პირველ ათეულში აღმოჩნდა აგრეთვე ბრიტანელი პრინცი ჰარი, რომელმაც ცოლის მოყვანის შემდეგ “გლამურის” მკითხველი ქალბატონების ხმები დაკარგა.

ჟურნალის რედაქციის წარმომადგენლების თქმით, გამოკითხვაში მონაწილეობა 40 ათასამდე ადამიანმა მიიღო. ჟურნალის საიტზე 70 კანდიდატისაგან შემდგარი სიაა გამოქვეყნებული, თუმცა 50 საუკეთესოს მოგვიანებით გამოაქვეყნებენ.

გ. თ.

## ასტროპროგნოზი 6 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — სახლში კარგი ამბებია. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — არ არის საჭირო ზედმეტი აქტიურობა, მთავარი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გიღიმით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — შორს ნუ გაემგზავრებით, სახლთან ახლოს იტრიალეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერს მოაგვარებთ. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამიჯნურო ხასიათის, ოთხსტრიქონიანი, სპარსული ლექსი; 2. მუსიკალური ინტერვალი; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. სახელმწიფო აფრიკაში; 12. ფრანგი კომედიოგრაფის პოკლენის ფსევდონიმი; 16. ისტორიული ციხესიმაგრე ბათუმის მახლობლად; 17. ლოყა ანუ...; 18. საკონდიტრო ნაწარმი.

**თარაზულად:** 1. ბრიტანელი მაგნატი, უმსხვილესი საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ სინას მეორე სახელი; 10. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 15. შაქრის ლერწმისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი; 19. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი ემსხვილესი ფირმა; 20. ქუჩის მესიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 21. დასპირტული ღვინო; 22. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელი სანაპირო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი